# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 თებერვალი 2002 №18 (1540) ფასი 50 თეთრი

# ნანა ალექსანდრია

## საქართველოს ელჩი სპორტში და სამართლიან თამაშში

# შსამართლობის გამო ტოვებს პოსტს

საუკუნეთა გასაყარზე გამოკითხვები, მათ შორის, სპორტული გამოკითხვები, ბუნებრივი საქმეა. ქართველებმა უკვე დაასახელეს მე-20 ასწლეულის საქართველოს სპორტსმენი და გუნდი, ხოლო შარშანდელი წლის მიწურულს ჩატარდა გამოკითხვა ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა და გუნდის გამოსავლენად, ანუ სხვანაირად: დამოუკიდებელი ქართული სპორტის რჩეულთა დასადგენად. გამოქვეყნებულმა შედეგებმა გააოცა სპორტის მცოდნენი, ხოლო მოჭადრაკეები უკმაყოფილო დატოვა, რადგან მათი აზრით, გამოკითხვა დილეტანტურად ჩატარდა და ისტორიის გაყალბება გამოიწვია. მოჭადრაკეთა გულისტკივილი ქალბატონმა ნანა ალექსანდრიამ გამოთქვა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნონა გაფრინდაშვილი

# ლუდის მაგნიტმა ქართველები ამერიკაში მიიზიდა

## სოლტ ლეიკში «ყაზბეგის» ქაფზე 4 ჩვენებური ისრიალებს

ახლა ყველა გზა ოკეანისგაღმა, სოლტ ლეიკ სიტისკენ მიდის, სადაც ხვალ ზამთრის ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნება. ბუნებრივია, ამ საერთო ფეხის ხმას აყოლილი ქართველებიც იქით მიეშურებიან. ჩვენი პატარა დელეგაციის წევრები ამერიკის გზას სხვადასხვა ქვეყნებიდან დასდგომიან. ქართველთაგან იქ ჩასვლა ყველას დაასწრო ტრამპლინიდან მხტომელმა კახა წაქაძემ, რომელიც თავისი მესამე ოლიმპიური ნახტომისთვის ემზადება. მან ოლიმპიურ სოფელში ქართველთაგან პირველმა დაიდო ბინა, თუმცა საამისოდ ოკეანის გადალახვა არ დასჭირვებია, რადგან ისედაც იქ იყო – წელიწადზე მეტია, ამერიკაში ცხოვრობს, მუშაობს და საოლიმპიადოდ იქვე ემზადება. თბილისელი ფიგურულად მოსრიალე ვახტანგ მურვანიძე კი წლების განმავლობაში მოსკოვში ვარჯიშობს და ამერიკისკენაც ამ ათი დღის წინ იქიდან გაემგზავრა. ჩვენი სამთომოთხილამურეები რობერტ მახარაშვილი და სოფიკო ახმეტელი კი ამერიკის გზას ავსტრიიდან დაადგნენ, სადაც საკმაო ხანია, სასოლტლეიკსიტოდ ემზადებოდნენ. საქართველოს დელეგაციის „ოფიციოზის" ნაწილი მისიის ხელმძღვანელ ირაკლი ჯაფარიძის მეთაურობით გზას ორშაბათს გაუდგა, დანარჩენები კი, მათ შორის სამი ჟურნალისტი, ამ დილით თბილისიდან გაფრინდნენ. მათ პარიზში შეუერთდება საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, სეოკ-ის ვიცე პრეზიდენტი და ქართული ლუდის მაგნატი გოგი თოფაძე, რომელიც სოლტ ლეიკ სიტიში დროებით ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის რანგში მოგვევლინება.




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან




ბარსელონა — სოსიედადი. სტუმრებს პირველი რივალდომ (შუაში) გაუტანა

# ტომს მოწყვეტილი ტოგონიძე თვისტომებს შეეკედლა

**საქართველოს** ნაკრებისა და „ბათუმის" ყოფილი მეკარე ნიკა ტოგონიძე ქუთაისის „ტორპედოს" დაუბრუნდა და მასვე აშხაბადში, თურქმენბაშის ტურნირზე გაჰყვა.

ტოგონიძე რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში ხეირიანად კარგა ხანია, არ უთამაშია და ბოლოს მოედანზე ქვეყნის თასის ფინალში გამოჩნდა, რუსეთიდან რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა, ორი-სამი დღე დაისვენა და ქუთაისელა მენეჯერ ვლადიმერ გუცაევის დახმარებით კვლავ „ტორპედოში" აღმოჩნდა.

ნიკა ტოგონიძე საქართველოდან ზაფხულში აიბარგა. თავიდან საბერძნეთში გაემგზავრა, ერთ-ერთ იქაურ გუნდში ცდილობდა დამკვიდრებას, თუმც მალევე წამოვიდა და ერთი-ორი კვირის შემდეგ რუსეთის პირველი ლიგის ტომსკის „ტომში" ჩაირიცხა. რუსეთში ქართველ მეკარეს ბევრი არ უთამაშია, სულ რამდენჯერმე დაიცვა ტომელების კარი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელთა მოწონება მაინც დაიმსახურა. რუსებს ტოგონიძესთან სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტის გაგრძელებაც სურდათ, თუმც არაფერი გამოუვიდათ, მეკარემ მათი წინადადება იუარა. ის „ტორპედოში" დაბრუნდა და ალბათ დავით გვარამაძის სათადარიგო იქნება. თავად „ტორპედო" დღეს ბაქოდან მიემგზავრება აშხაბადში.



ნიკა ტოგონიძე ქუთაისის „ტორპედოს" დაუბრუნდა

**კობა ინასარიძე**

# გახსოვთ ბატე?

## ბელარუსებს ამხანაგობაც არ სცოდნიათ

**თითქმის** ერთი კვირაა, რაც თბილისური „ვიტ ჯორჯია" თურქულ შეკრებაზეა. გოჩა ტყებუჩავამ თან 26 ფეხბურთელი იახლა და ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ბელიზში" დაბინავებული ვიტელები დღეში ხან ორჯერ, ხანაც სამჯერ იღვრიან ოფლს.

გუშინ ტყებუჩავას გუნდს პირველი გამოცდა ჰქონდა. ვეტერინარები სპარინგ-მატჩში ჩვენთვის, უფრო სწორად, გივი ნოდიასთვის და თბილისის „დინამოსთვის" კარგად ნაცნობ ბორისოვის ბატეს დაუპირისპირდნენ. ბელარუსები ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და საქართველოს ყოფილი ვიცე-ჩემპიონიც წაგვიქციეს. ბორისოველებმა 1:0 მოუგეს ვეტერინარებს.

მიუხედავად წაგებისა, „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი გოჩა ტყებუჩავა თავისი ბიჭებით უკმაყოფილო არ დარჩენილა. გუნდი დილით საკმაოდ დავტვირთე, შუადღისას კი სათამაშოდ გავიყვანე და ვიცოდი, რომ ძალები ბოლომდე არ გვეყოფოდაო, აღნიშნა სატელეფონო საუბრისას ტყებუჩავამ.

„ვიტ ჯორჯიამ" ბატესთან მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყო:

***მამარდაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, არეშიძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გველესიანი, ადამია, გოჩაშვილი, თუთარაშვილი;***

მეორე ტაიმში შეცვლაზე ითამაშეს თედორაძემ, ზაზაშვილმა, ზ. მეტრეველმა, დ. დოლიძემ, წუწუნავამ და იაშვილმა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ბურნაძემ სიონი ჯერ ვერ მოიფიქრა



ალექსანდრე ბურნაძე

**იანვარში** რუსთავის „გორდას" მცველმა ალექსანდრე ბურნაძემ კლუბი დატოვა და თანაგუნდელ კახა ალადაშვილთან ერთად კვიპროსს მიაშურა იმ იმედით, რომ სასურველ გუნდში მოეწყობოდა. თუმც მათივე თქმით, კუნძულზე სატრანსფერო სეზონის დახურვამ გეგმები ჩაუშალათ.

საბოლოოდ ორივე საქართველოში დაბრუნდა. „გორდას" კაპიტან კახა ალადაშვილის საკითხი ჯერაც გაურკვეველია, ალექსანდრე ბურნაძემ კი ბოლნისის „სიონს" შეაფარა თავი და დღესდღეობით თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მაგრამ არც მისი „სიონში" დარჩენაა საბოლოოდ გადაწყვეტილი. ის კი ცხადია, რომ ბურნაძის დახმარებით ბოლნისური კლუბის დაცვა ერთობ გაძლიერდება.

მართალია, ის რუსთავის „გორდასგან" თავისუფალია, მაგრამ რამდენიმე ქართული კლუბის ვარიანტი კიდევ ჰქონია და გადაწყვეტილების მიღებას ამიტომაც არ ჩქარობს.

— ყველაფერი ორიოდ დღეში გაირკვევა. რაღაც ვარიანტები კიდევ მაქვს და თუ არ გამოვიდა, ალბათ, „სიონში" დავრჩები. „გორდაში" კი არა მგონია, დავბრუნდე. ვნახოთ... წინასწარ ვერაფერს გეტყვით — გვითხრა გუშინ ალექსანდრე ბურნაძემ.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის ბურნაძეს მშობლიური „გორდას" გარდა წყალტუბოს „სამგურალსა" და სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივში" უთამაშია.

**კახა ზალამბერიძე**

## გერმანია

**ბუნდესლიგა. XXI ტური**

ზანქტ პაული 2:1 ბაიერნი
კაიზერსლაუტერნი 2:2 ჰამბურგი
ლევერკუზენი 0:1 შალკე
დორტმუნდი 2:0 ჰანზა

**მეორე ბუნდესლიგა XXI ტური**

ალემანია 1:2 ალენი
უნტერჰახინგი 1:1 ობერჰაუზენი
ბოხუმი 4:2 ჰანოვერი
კარლსრუე 1:4 მაინცი

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი XXV ტური**

რენი 2:2 ლიონი
ოსერი 1:0 ლანსი
ლილი 1:1 სედანი
ლორიანი 1:0 მონპელიე
მარსელი 2:1 გენგამი
მეცი 2:0 ნანტი
მონაკო 1:1 ბასტია
სოშო 2:2 ტრუა

**მეორე დივიზიონი XXVII ტური**

აიაჩო 1:1 ამიენი
ბოვე 0:0 ნიორი
კაენი 1:1 ისტრი
შატორუ 1:2 ლავალი
კრეტეი 1:1 ნიმი
გრენობლი 3:2 მარტიგი
სენტ ეტიენი 0:0 ნიცა
ნანსი 2:1 სტრასბური

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

კოვენთრი 2:0 როტერჰემი
უოტფორდი 1:2 ბარნსლი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

სტოკი 5:0 კემბრიჯი

**ასოციაციის თასი 1/16 ფინალი. გადათამაშება**

ვესტ ჰემი 2:3 ჩელსი (1:1)

## ესპანეთი

**პირველი დივიზიონი XXIV ტური**

ბილბაო 3:2 მალაგა
ალავესი 1:2 ვალენსია
ვალიადოლიდი 2:1 რეალი
ვილიარეალი 2:1 მალიორკა
ბარსელონა 2:0 სოსიედადი
სარაგოსა 1:1 ტენერიფე
სევილია 0:0 ოსასუნა
რაიო ვალიეკანო 2:2 ესპანიოლი
ლას პალმასი 0:0 ბეტისი

**მეორე დივიზიონი XXVI ტური**

ბურგოსი 0:0 რასინგი
ეიბარი 1:1 ოვიედო
ფეროლი 1:2 ხიმნასტიკი
ლეგანესი 2:0 პოლი ეხიდო
ნუმანსია 1:1 ხერესი
სალამანკა 0:0 მურსია
სპორტინგი 3:0 კორდობა
ხაენი 1:0 ესტრემადურა
უელვა 1:0 ელჩე
ბადახოსი 2:3 ალბასეტე

## შოტლანდია

**ასოციაციის თასი 1/8 ფინალი. გადათამაშება**

დანდი 1:2 პარტიკი *(I)* (1:1)

**ლიგის თასი ნახევარფინალი**

*აირი (I)* 1:0დ.დ. (0:0) ჰიბერნიანი

## ამხანაგური მატჩები

საუდეთი 0:1 ბრაზილია
ირანი 2:3 სლოვაკეთი

## იტალია

**თასის ნახევარფინალი საპასუხო მატჩი**

*იუვენტუსი* 1:1 მილანი (2:1)

## პორტუგალია

**თასის ნახევარფინალი**

*სპორტინგი* 3:2დ.დ. (2:2) მარიტიმუ

## ბელგია

**თასის ნახევარფინალი პირველი მატჩები**

მუსკრონი 3:0 სინტ ტრუიდენი
ბრიუგე 3:0 ლოკერენი

## საბერძნეთი

**თასის მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები**

არისი 1:2 *ქსანთი* (1:0)
პაოკ 0:4 *აეკ* (1:2)

## თურქეთი

**თასის მეოთხედფინალი**

*ერზერუმი (II)* 0:1დ.დ. (0:0) *კოჯაელი*
ისთანბული 1:2 *ადანა (II)*
გაზიანთეფი 2:3დ.დ. (2:2) *ბეშიქთაში*

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ფეიენოორდი 1:0 სიტარდი
ბრედა 2:2 სპარტა
როდა 1:0 უტრეხტი

**მეორე დივიზიონი XXII ტური**

ოსი 1:0 იგლზი

## კალათბურთი

# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 6 თებერვალი**

**A ჯგუფი**

შლიონსკი 91:93 ბენეტონი
ალბა 72:84 უნიკახა
ეფესი 78:65 შარლერუა

**D ჯგუფი**

სკავოლინი 98:86 პარტიზანი
ტაუ 114:78 ოსტენდე
აეკ 99:85 ურალ გრეიტი
ვილერბანი 99:84 ციბონა

**C ჯგუფი**

რეალი 82:86 ცსკა
კრკა 101:74 ბუდუჩნოსტი

ესპანური „სოსიედადიდან" სეზონის ბოლომდე მოსკოვის „ლოკომოტივში" განათხოვრებულმა გიორგი დემეტრაძემ უკვე მოასწრო რუსებისთვის თავის მოწონება. „ლოკომოტივმა" ტუნისური შეკრების პირველ ამხანაგურ მატჩში ჩემპიონატის ლიდერ „ეტუალ დიუ სახელს" გადაურბინა. რუსებმა მასპინძლები 4:0 დაჯაბნეს. დემეტრაძემ ერთი ტაიმი ითამაშა, მოედანზე შესვლიდან 10 წუთში გოლიც გაიტანა და მოგვიანებით საგოლე პასიც მიითვალა. „ლოკომოტივის" მწვრთნელი იური სიომინი და მისი თანაშემწეები ქართველი ახალწვეულის მომზადების დონით კმაყოფილნი დარჩნენ, თუმც პირადად დემეტრაძისთვის ისიც უთქვამთ, საუკეთესო ფორმაში ვერ იმყოფებიო.

ტუნისიდან „ლოკომოტივი" მოსკოვს დღეს მიემგ ზავრება. დემეტრაძე კი რუსებს სამი დღით გამოაკლდება. ის სან-სებასტიანში გაფრინდება, ინდივიდუალურად ივარჯიშებს, ბარსელონაში რუსეთის ვიზის მისაღებად ერთ-ორ საათს გაჩერდება და „ლოკომოტივს" ალიკანტეში შეუერთდება.



# დემეტრაძემ რუსებისთვის ტუნისში გაიტანა

## სიომინმა ქართველი ფორვარდი ბარსელონაში გაუშვა

— ამდენი ხნის უთამაშებელს გამიკვირდა კიდეც ასე კარგად რომ ვითამაშე. ტრავმებისგან გაწამებულს ფეხბურთი მონატრებული მქონდა, თანაც ახალ გუნდში პირველად ვთამაშობდი და ძალიან მოვინდომე — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ, როცა ტუნისში შევეხმიანეთ — გუნდში კარგად მიმიღეს, სიომინმა თავად გამაცნო ფეხბურთელები და თითქმის ყველასთან, თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა.

**— მწვრთნელი თუ დარჩა შენი თამაშით კმაყოფილი?**

— პირველი მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ. სიომინმა პირდაპირ მითხრა, გეტყობა დიდი ხნის უთამაშებელი ხარ და მომზადება გჭირდებაო. მწვრთნელი არ მაჩქარებს. რაც მთავარია, მენდობა, თანაც მაიმედებს, ჩემპიონატის დაწყებისას კარგ ფორმაში იქნებიო.

**— კონკურენციის არ გეშინია? „ლოკომოტივში" რამდენიმე ძლიერი თავდამსხმელია.**

— რატომ უნდა შემეშინდეს. ჩემს გარდა გუნდში ხუთი ფორვარდია. ყველა გავიცანი, კარგი ბიჭები არიან. არა მგონია ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის შიშით რომელიმემ რაიმე არაკაცური იკადროს.

**— ტრავმირებული ფეხი საერთოდ აღარ გაწუხებს?**

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. თამაშით ხომ ვითამაშე და გოლიც გავიტანე, არც ვარჯიშებზე ვაკლებ „ლოკომოტივის" მეკარეებს. გუშინ ორმხრივი თამაშისას სიომინმა პენალტი დანიშნა. ბურთი არავის დავუთმე, გავიტანე. სიომინმა არ ჩათვალა, უსასტვენოდ დაარტყიო. მეორედაც გავიტანე და არც ამის ჩათვლას აპირებდა. მესამედაც მოვემზადე პენალტის შესასრულებლად, მაგრამ აღარ დამარტყმევინა. დარწმუნდა რომ მესამედაც გავიტანდი.

**— ალიკანტეშიც ერთ ტაიმს გათამაშებენ?**

— „ლოკომოტივში" ახლა ბევრი ფეხბურთელია და სიომინს ყველას გამოცდა სურს. ორივე ტაიმს არც ერთ ფეხბურთელს ათამაშებს. თუმც სიომინმა, ეგებ, მოსკოვში რამდენიმე ფეხბურთელი დატოვოს და მეც ალიკანტეში მეტ ხანს ვითამაშებ.

**— მოკლედ, „ლოკომოტივში" ყოფნით კმაყოფილი ხარ.**

— ძალიან. წლეულს „ლოკომოტივს" ჩემპიონობა ჰქონია დაგეგმილი და ვეცდები, როგორც ადრე „ალანიაში", ახლაც, ჩემი თამაშით ქომაგთა პატივისცემა დავიმსახურო.

**ქობა ინასარიძე**

# ზამთარაძე ფრაიბურგში სხვა სპორტზე შევიდა

**ხუთი ფრაიბურგელი ქართველიდან ორმა ჯერაც ვერ ითამაშა ბუნდესლიგაში. გიორგი კიკნა□ემ ეს ტრავმების გამო ვერ შეძლო ზაზა ზამთარაძის დებიუტს კი მალე უნდა ველოდოთ – ეს ფეხბურთელი ხომ უკვე თითქმის ცხრა თვეა, რაც „ფრაიბურგში" ირიცხება და გუნდთან ერთად ორი შეკრებაც გაიარა.**



ზაზა ზამთარაძე

— ბოლო შეკრებაზე პორტუგალიაში ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშე შეცვლებზე „გლადბახთან" და „დუისბურგთან". ვგრძნობ, გაცილებით კარგ ფორმაში ვარ, ვიდრე სეზონსწინა შეკრების დროს.

**— გასაგებია, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობა ალბათ თავისას აკეთებს.**

— პირველ გუნდთან ერთად კი ვვარჯიშობ, მაგრამ ის ფეხბურთელები, რომლებიც ძირითადში ვერ ხვდებიან, „ფრაიბურგის" მეორე გუნდში თამაშობენ ობერლიგაში. ახლა ობერლიგაში შესვენებაა და თამაში ერთობ სუსტ გუნდებთან გვიწევს.

**— ისე, შენ როგორ ატყობ, ბევრად მოუმატე?**

— როცა „ფრაიბურგში" მივედი, მეგონა, კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ თავიდან ძალიან გამიჭირდა. აქ გაცილებით დიდი დატვირთვებია და საქმისადმი მიდგომაც სულ სხვანაირია. თითოეულ ფეხბურთელს ყოველი შეკრების წინ სერიოზული სამედიცინო გამოკვლევა უტარდება და ექიმები ამის მიხედვით ადგენენ, ამა თუ იმ ეტაპზე როგორი დატვირთვები უნდა მიიღოს მოთამაშემ — ფეხბურთელი არც ზედმეტად უნდა დაიტვირთოს და არც ნაკლებად. ერთი სიტყვით, მედიცინა გერმანიაში ჩვენთან შედარებით სულ სხვა დონეზეა და აქედან მოდის ფეხბურთელთა მომზადების დონეც.

**— ესე იგი თვლი, რომ უკვე მზად ხარ ბუნდესლიგისთვის?**

— იმედი მაქვს, ბუნდესლიგის რიტმს გავუძლებ. მეორე ფრაიბურგული შეკრების შემდეგ არანაირი პრობლემა აღარ მაქვს. ფოლკერ ფინკემ ზემოთნახსენები საკონტროლო მატჩების შემდეგ მითხრა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო და დამამშვიდა, თავის გამოჩენის შანსი მალე მოგეცემაო. მეც იმედიანად ვარ. ისე კი, ფეხბურთი აქ მართლაც სულ სხვა სპორტია.

**დავით თაგართქილაძე**

# სახვაძე და ჭელიძე ქალებმა სარკესთან ავარჯიშეს

## ჯიხური, ცხენები და მუსიკა



არჩილ სახვაძეს კიევში სიჭა გააცალეს

**გუშინ** გაუწყეთ, კიევის „დინამოში" სამი ქართველი — მალხაზ ასათიანი, ლაშა ჭელიძე და არჩილ სახვაძე გასასინჯად მიდიანო, თუმცა ასათიანი კიევში ვერ გაემგზავრა და ვალერი ლობანოვსკის გუნდში დღესდღეობით ჭელიძე და სახვაძე ცდიან ბედს.

წუხელ კიევში ტელეფონით შევეხმიანეთ არჩილ სახვაძეს, რომელმაც პირველი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

— პირველად კიევის „დინამოსთან" ერთად გუშინ ვივარჯიშე დარბაზში, წვრთნა მხოლოდ ფიზიკურ დატვირთვებს მოიცავდა — პრესი, ხტომები, სირბილი... ორჯერადი ვარჯიშის შემდეგ კინაღამ დავიშალე.

— მეორე დღესაც ორჯერადი ვარჯიში გვქონდა. ბურთთან მხოლოდ ბოლო ოცი წუთი მოგვიწია ყოფნა. მომდევნო დღეს კი განსხვავებულ ორჯერადი წვრთნები გველქნება. ამჯერად ინდივიდუალურად უნდა ვივარჯიშოთ თითოეულმა ფეხბურთელმა. მეორე წვრთნისთვის კი გვითხრეს, როგორც თქვენ გინდათ, იმ ვარჯიშებით მოიდინეთ ოფლი და დაგაკვირდებითო.

— თითო ვარჯიშის ხანგრძლივობა აქ 45 წუთია. როცა ვუთხარი, ჩვენთან საათნახევრიანი ვარჯიშებიაო, ძალიან გაუკვირდათ. მაგრამ ამ 45 წუთში ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევენ, ცხენებივით დაგვარბენინებენ.

— კიევის „დინამოს" პირველი გუნდი ხვალიდან ბელგია-ჰოლანდიაში გააგრძელებს მზადებას. მითხრეს, შენ ვერ წაგიყვანთ, რადგან ფაქტობრივად ვერ მოასწარი თავის წარმოჩენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე უარს გეუბნებითო.

— ახლა მეორე გუნდთან მომიწევს ვარჯიში და დამაიმედეს, თუ თავს გამოიჩენ, ეს სულაც არ შეგიშლის ხელს გუნდში ჩარიცხვაშიო. ისიც გვითხრეს, თავიდან კახა კალაძესაც გაუჭირდა აქაური დატვირთვების ატანაო.

— კლუბის ყველა მწვრთნელი ნებისმიერი ვარჯიშის დროს სულ ერთად არის. ვალერი ლობანოვსკი კი ცალკე ზის ხოლმე რაღაც ჯიხურის მაგვარში და იქიდან გვაკვირდება.

— დატვირთვები მართლაც დიდია, ამდენი ოფლი არასდროს მომიღვრია, მაგრამ ეგ არაფერი, რამდენიმე დღეში ალბათ ცოტა შევეჩვევი. ისე კი, ძალიან კარგად გვეპყრობიან მე და ლაშა ჭელიძეს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, კიევის „დინამო" აერობიკასაც კი მიმართავს. სარკებიან დარბაზში შეგვიყვანეს, სადაც სამი უკრაინელი ქალბატონი დაგვხვდა. ჯერ ერთმა დაგვაწყებინა მუსიკის თანხლებით ვარჯიში, მერე მეორემ გაგვაგრძელებინა და მესამემ დაგვამთავრებინა. პაუზებს შორის კი პრესზე ვვარჯიშობდით. ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა გავუძლოთ.

**დავით თაგართქილაძე**

# გოლფის ბურთს გოგა გახოკიძემ გოლით უპასუხა

**ჰოლანდიის** ჩემპიონატის გადადებული მატჩი „ვალვაიკსა" და გოგა გახოკიძის პსვ-ის შორის, რომელიც გუშინწინ გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, პირველ ტაიმის მიმდინარეობისას დაახლოებით ნახევარი საათით შეწყდა.

ვალვაიკელთა გიჟმაჟმა ქომაგებმა, მაშინ როცა მათი გუნდი სტუმრებს ამარცხებდა, მოედანზე გოლფის ბურთები ისროლეს, რომელთაგანაც ერთ-ერთი პსვ-ის მეკარე ლოდევაიქსს ბეჭზე მოხვდა და ექიმთა დახმარება დასჭირდა.

— მატჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო. „ვალვაიკის" ქომაგების დაშოშმინებას პოლიციელები ცდილობდნენ — გვითხრა გოგა გახოკიძემ — ბოლოს, როგორც იქნა, ნახევარსაათიანი ლოდინის შემდეგ მაყურებლებმა მოგვცეს თამაშის გაგრძელების საშუალება. ანგარიში კი გავათანაბრე, მასპინძელთა მეკარეს ლამაზი გოლი გავუტანე, მაგრამ რად გინდა, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გერეტსმა შემცვალა და „ვალვაიკმაც" ხუთ წუთში გამარჯვებისა გაიტანა. არადა, ურიგოდ არ მითამაშია, ხუთი-ექვსი ისეთი პასი გავაკეთე, პარტნიორები მეკარესთან პირისპირ დარჩნენ, ერთხელ კი, რომედალს, სულაც ცარიელი კარის გასწვრივ გავუგორე ბურთი, მაგრამ წარმოუდგენლად ააცილა.

გოგა გახოკიძე და პსვ ახლა ორიოდ დღე 13 თებერვალს დანიშნულ ეროვნულ გუნდთა ამხანაგური მატჩების გამო დაისვენებენ და ჩემპიონატს 16 თებერვლიდან განაახლებენ.

**ქობა ინასარიძე**



გოგა გახოკიძე (შუაში) „ვალვაიკთან" მატჩში საუკეთესო იყო




REUTERS მოუნხენიდან

მიუნხენი — ვერდერი. ბრემენელი მლადენ კრსტაიჩი (მარჯვნივ) პოლ აგოსტინოს ვერაგულად წამოეპარა

# შტუტგარტმა საკუთარ თავს მოუგო

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXI ტური

**ფრაიბურგი 0:0 ვოლფსბურგი**

ფრაიბურგი: რიისი, შ. მიულერი, კრუზე, ჰერმელი, ვილი (ვ. ბუტი 71), ა. ცაიერი (კონდე 68), ცქიტიშვილი, კობიაშვილი, რამდანე, ბრუნსი (ხელიმი 61), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ფრანცი, ბილისკოვი, ვაიზერი, კარმანი, კუმბუერი, დ. მუნტიანუ (მარშე 77), პონტე, ტ. მაიერი (კლიმოვიჩი 61), ა. პეტროვი (რაუ 82)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: კობიაშვილი, პონტე
მსაჯი: კესლერი
24 500 მაყურებელი

**კოტბუსი 1:0 ჰერტა**

1:0 ტოპიჩი (85)
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ბეეკი, მატიუში, როზეკამბეი, შროიტერი, ტ. რისტე, ვაგნეჩი (კობილანსკი 73), მირიუტა (რაიხენბერგერი 83), ფრანკლინი (ჰელბიგი 70), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი, სვერისონი, რემერი (სიმუნიჩი 46), შმიდტი, მაასი (პრეეცი 86), ტრეჩოკი, ბაინლიხი, გოორი, დაეი, მარსელინიო (ალვესი 60)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ბეეკი, ტოპიჩი, გოორი, შმიდტი
მსაჯი: იანსენი
15 600 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:3 ნიურნბერგი**

0:1 კაკაუ (15), 1:1 ბორდონი (24), 1:2 კაკაუ (26), 2:2 განეა (59), 2:3 ლარსენი (78)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი (დანდი 55; ადჰემარი 80), გლეპი (ტიფერტი 46), ბალაკოვი, განეა, ზაიცი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ტავკარი, პასლაკი (ლ. მიულერი 69), ლარსენი, იაროლიმი, კრიჟანოვსკი, კაკაუ (მიხალკე 77), რინკე (გომისი 89)
მწვრთნელი: კლაუს ოუგენტალერი
გაფრთხილება: ლარსენი, განეა, სანე, ლარსენი
განძევება: ლარსენი (84)
21 000 მაყურებელი

**მიუნხენი 3:1 ვერდერი**

1:0 აგოსტინო (18), 1:1 ლისტეში (24), 2:1 მაქსი (68), 3:1 ჰესლერი (74პ)
მიუნხენი: იენცი, ვოტავა, ელერსი (რისეტი 20), ფ. ტაპალოვიჩი, ჩერნი, ბორიმიროვი, ჰესლერი, ტისი, ბიროვკა (პიურკი 64), მაქსი, აგოსტინო (შუკერი 69)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ვერდერი: ფ. რისტე, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (მანოვიჩი 71), კრსტაიჩი, ტიკუზე (ვალაკე 86), ბოროვსკი (კლასნიჩი 76), ფ. ერნსტი, სკრიპნიკი, ლისტეში, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ტაპალოვიჩი, ბორიმიროვი, ჰესლერი, კრსტაიჩი, ტიკუზე, ბაუმანი
მსაჯი: მაიერი
17 200 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 4:0 კიოლნი**

1:0 მიუნხი (51), 2:0, 3:0, 4:0 ვან ლენტი (55, 60, 69)
მიონხენგლადბახი: შტილე, ებერლი, პლეტში, კორელი, მიუნხი (ასანინი 72), დემო, ნილსენი, ულიხი (ვიტეჩეკი 75), ვან ლენტი, ფილჰუბერი (აუერი 21)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
კიოლნი: პროილი, რეები, კულმანი, ცილევიჩერი, კელერი, ტიმი (რაიხი 19), ბალიტში, ლოტნერი, ვოიგტი (შპრინგერი 62), ლასლანდი (ჩოკონი 75), კურტი
მწვრთნელი: კრისტოფ ჯონი
გაფრთხილება: მიუნხი, ულიხი, ცილევიჩერი, ვოიგტი, ლოტნერი, კელერი
მსაჯი: ფროილიხი
32 000 მაყურებელი

**ტურის** მთავარი მატჩები წუხელ გაიმართა. სამშაბათს კი 21-ე სათამაშო დღე ხუთმა წყვილმა გახსნა. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" შინ არჩილ არველაძის „კიოლნს" 4:0 მოუგო, თანაც ოთხივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა არივან ლენტმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, პირველი კი მარკუს მიუნხმა პენალტით მას მერე შეაგდო, რაც მისმა სტუმარმა სეხნია კურტმა საკუთარ საჯარიმოში შტეფან კორელი წააქცია.

აღმოჩნდა, რომ „გლადბახს" ასეთი ანგარიშით ბუნდესლიგაში 1997 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ გაუმარჯვია.

შარშანდელი შემოდგომის აღმოჩენას, ბრემენის „ვერდერს" წლეულს ჯერ თამაში არ მოუგია. რაც ჩემპიონატი განახლდა, ჯერ „კოტბუსთან" წააგო, მერე „შტუტგარტთან" და აი, ახლა „ოლიმპიაშტადიონზე" „მიუნხენთან". პეტერ პაკულტის „ლომებს" ჩრდილოელი მეზობლები გვარიანად დაუჩაგრავთ. არადა, თავიდან საქმეს სხვაგვარი პირი უჩანდა. მასპინძელთა ავსტრალიელი პოლ აგოსტინოს გამხსნელ გოლს მალევე ვერდერელთა უნგრელმა კრისტიან ლისტეშმა უპასუხა. აი, მეორე ტაიმში კი მიუნხენელებმა იძალეს, მარტინ მაქსმა და ვეტერანმა თომას ჰესლერმა ორიც შეაგდეს და ჩრდილოელთა წვალება ამით დაამთავრეს.

ბოლო დროს ისევ წამოიჩითა „კოტბუსი". შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში აღმოსავლეთგერმანელები მესამე ადგილზეც იყვნენ, მაგრამ მერე თავქვე დაეშვნენ და გასავარდნთა შორისაც დადგნენ. ნაახალწლევს კი სამიდან ორი თამაში მოიგეს. „ვერდერთან" გამარჯვებაზე ზემოთ ვთქვით, გუშინწინ კი ბერლინ-ბრანდენბურგულ დერბიში „ჰერტასაც" მოერივნენ. ერთადერთი გოლი ბოლოსკენ ბოსნიელმა მარკო ტოპიჩმა შეაგდო. ტოპიჩი ის კაცია, ვინც კვირანახევრის წინ ბრემენელებსაც გადამწყვეტი გაუტანა.

ეს თამაში სხვებისგან ოდნავ მოგვიანებით დაიწყო, რადგან „ჰერტას" ფანებმა ხმაურიანი შეკრება მოაწყვეს და მწვრთნელ იურგენ რიობერს გადადგომისკენ მოუწოდებდნენ.

„შტუტგარტმა" „ნიურნბერგთან" 2:3 წააგო. სტუმართაგან ორჯერ თავი ბრაზილიელმა ჟერონიმო ბარეტო კაკაუმ გამოიჩინა.

„დღეს ჩვენივე თავი დავამარცხეთ — თქვა მერე მასპინძელთა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა — მეტოქე საკუთარ საჯარიმოში დავპატიჟეთ, კარში ახლოდან დარტყმის საშუალება მივეცით და დამსახურებულად დავმარცხდით".

ჩვენებურთა „ფრაიბურგი" შინ „ვოლფსბურგს" უგოლოდ დაშორდა. ლევან ცქიტიშვილი საყრდენად ათამაშეს, ლევან კობიაშვილი მარცხენა ნახევარმცველად, ხოლო ალექსანდრე იაშვილი თავდასხმაში ჯერ ფლორიან ბრუნსის, ბოლო ნახევარ საათს კი შეცვლაზე შესული ადელ სელიმის მხარდამხარ ილვწოდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 20 | 13 | 4 | 3 | 34:14 | 43 |
| ლევერკუზენი | 20 | 13 | 3 | 4 | 46:26 | 42 |
| ლაუტერნი | 20 | 13 | 2 | 5 | 41:25 | 41 |
| ბაიერნი | 20 | 11 | 4 | 5 | 37:16 | 37 |
| ვერდერი | 21 | 11 | 3 | 7 | 34:26 | 36 |
| შალკე | 20 | 10 | 5 | 5 | 30:22 | 35 |
| ჰერტა | 21 | 9 | 6 | 6 | 31:27 | 33 |
| მიუნხენი | 21 | 10 | 3 | 8 | 33:33 | 33 |
| შტუტგარტი | 21 | 8 | 7 | 6 | 27:22 | 31 |
| ვოლფსბურგი | 21 | 7 | 6 | 8 | 34:30 | 27 |
| ჰამბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 27:33 | 23 |
| ფრაიბურგი | 21 | 5 | 8 | 8 | 25:31 | 23 |
| ჰანზა | 20 | 6 | 4 | 10 | 18:27 | 22 |
| გლადბახი | 21 | 4 | 8 | 9 | 23:30 | 20 |
| კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 18:36 | 20 |
| ნიურნბერგი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:37 | 19 |
| კიოლნი | 21 | 3 | 5 | 13 | 11:36 | 14 |
| ზანკტ პაული | 20 | 2 | 6 | 12 | 21:38 | 12 |

### II ბუნდესლიგა. XXI ტური

**ფიურტი 4:1 როიტლინგენი**

1:0 ამანატიდისი (15), 2:0 აზუზი (21პ), 3:0 დეგორაკი (22), 3:1 დიაბა (39), 4:1 აზუზი (63პ)
ფიურტი: რაიხოლდი, სურმანი, ბოო, მამიჩი, ბატისტა, რუმანი (უმბოლდი 65), რაიხელი, აზუზი (ელბერფელდი 80), დეგორაკი (მეჰმეტელი 74), კოიო, ამანატიდისი
მიურზე დიასინიძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ბოიგენ ჰაბი
გაფრთხილება: ბატისტა, რაიხელი
მსაჯი: კემერლი
5 425 მაყურებელი

**არმინია 2:1 შვაინფურტი**

1:0, 2:0 ვიშნიარეკი (4, 31), 2:1 მელუნოვიჩი (54)

**დუისბურგი 3:1 ვალდჰოფი**

1:0, 2:0, 3:0 ებერსი (19, 52, 59), 3:1 კლოუში (62)

**აინტრახტი 2:2 ზაარბრიუკენი**

0:1 ხოჯი (9), 1:1 კ. პრეისი (69), 2:1 ს. ჩირიჩი (75), 2:2 დანიელ კოვაჩევიჩი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 20 | 13 | 7 | 0 | 57:22 | 46 |
| მაინცი | 20 | 12 | 5 | 3 | 38:20 | 41 |
| არმინია | 21 | 11 | 6 | 4 | 39:21 | 39 |
| ფიურტი | 21 | 11 | 5 | 5 | 40:26 | 38 |
| აინტრახტი | 21 | 9 | 7 | 5 | 33:25 | 34 |
| ბოხუმი | 20 | 8 | 7 | 5 | 37:30 | 31 |
| უნიონი | 20 | 8 | 5 | 7 | 39:27 | 29 |
| ალენი | 20 | 8 | 5 | 7 | 38:44 | 29 |
| დუისბურგი | 21 | 7 | 7 | 7 | 35:35 | 28 |
| ვალდჰოფი | 21 | 7 | 7 | 7 | 29:29 | 28 |
| როიტლინგენი | 21 | 8 | 3 | 10 | 33:35 | 27 |
| კარლსრუე | 20 | 7 | 5 | 8 | 27:29 | 26 |
| ალემანია | 20 | 7 | 3 | 10 | 25:42 | 24 |
| უნტერჰახინგი | 20 | 6 | 4 | 10 | 18:27 | 22 |
| შვაინფურტი | 21 | 5 | 4 | 12 | 19:38 | 19 |
| ობერჰაუზენი | 20 | 4 | 3 | 13 | 27:36 | 15 |
| ზაარბრიუკენი | 21 | 3 | 6 | 12 | 17:37 | 15 |
| ბაბელსბერგი | 20 | 4 | 3 | 13 | 23:51 | 15 |

# ტრისტანი. ტრისტანმა. ტრისტანს...

## ესპანეთი

### I დივიზიონი. XXIV ტური

**სელტა 0:2 დეპორტივო**

0:1, 0:2 ტრისტანი (32, 65)
სელტა: კავალიერო, კოირა (ჯუოვანელა 46), კასერესი, სერხიო, სილვინიო, ლუქიენი, ვაგნერი, კარპინი, ხესული (ედუ 46), გუსტავო ლოპესი, კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
დეპორტივო: მოლინა, კაპდევილა, დონატო, ნაიბეტი, სკალონი, დუშერი, მაურო სილვა, ვიქტორი, ვალერონი (სერხიო 74), ფრანი (ამავისკა 90), ტრისტანი (მაკაი 86)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კასერესი, კავალიერო, მაურო სილვა, ვაგნერი, კაპდევილა, ტრისტანი, კარპინი, სკალონი, ვაგნერი
განძევება: ვაგნერი (88)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
31 800 მაყურებელი

**დიეგო ტრისტანს** მართალია აგერ უკვე შვიდი ტურია გოლი არ გაეტანა, მაგრამ ახლა მისმა დუბლმა „დეპორტივოს" 2:0 მოაგებინა. მან სძლია პრიმერადივიზიონის ლიდერ „სელტას", ხოლო თუ ესპანეთის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ჩავიხედავთ, შეიძლება ასეც ვთქვათ: „დეპორტივომ" გალისიურ დერბიში იძალა. კიდევ შეგახსენებთ, რომ ესპანურ ფეხბურთში ოთხი გამორჩეული დაპირისპირებაა და ერთ-ერთი მათგანი სწორედ „სელტა" — „დეპორტივო" გახლავთ.

თან, კინაღამ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ლაკორუნიელებმა სტუმრად გაიმარჯვეს.

ხოლო ტრისტანმა, რომელსაც დეკემბრამდე გოლი ყოველ თამაშში გაჰქონდა, ბოლო დროს კი ალლო დაუბლაგვდა, „სელტასთან" შეხვედრაში მდგომარეობა დუბლით გამოასწორა. შეგახსენებთ, რომ „დეპორტივოს" სტუმრად თითქმის ოთხი თვე არ მოეგო და, შესაბამისად, შედეგმა და ტრისტანის თამაშმა გუნდის მწვრთნელი, ხავიერ ირურეტა ერთობ ასიამოვნა.

კიდევ ვიგოში ლაკორუნიელებს მთელი შვიდი სეზონია არ მოეგოთ.

მასპინძლებმა თამაში ერთობ თავგამოდებით დაიწყეს. როგორც გალისიურ დერბის სჩვევია, ჯარიმებიც გვარიანად ხშირი იყო, „დეპორტივო" კი უფრო სიმშვიდით იპყრობდა ყურადღებას. და სიმშვიდემ კინაღამ მე-15 წუთზევე მოიმკა შედეგი: მაროკოელი ნურედინ ნაიბეტი (აფრიკის თასზე დამარცხებული კლუბს დაუბრუნდა) მასპინძელთა საჯარიმოში მცველმა პაბლო კოირამ წააქცია, მაგრამ მსაჯმა დასტვენა და ხელის თეთრი წერტილისკენ გაშვერა ვერ გაბედა.

თუმცა, დადგა 32-ე წუთი და „სელტას" მცველებმა სტუმრებს წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს. ეს ასე მოხდა — ფრანმა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, სადაც იგი ტრისტანმა იხელთა და ტექნიკურად გადაუგდო თავზე მასპინძელთა გოლკიპერ პაბლო კავალიეროს. დავძინოთ, რომ „სელტას" ფეხბურთელებმა ეპიზოდი ენერგიულად გააპროტესტეს, თამაშგარე მდგომარეობა იყოო.

ამის შემდეგ გამოხდა ხანი და „სელტას" ისევ ჩაეძინა. ეს იყო 64-ე წუთზე, როდესაც ვიგოელთა სულ ბოლო მცველი ლამის მოედნის გამყოფ შუა ხაზთან აღმოჩნდა, ხოლო ხუან კარლოს ვალერონმა ტრისტანი შენიშნა, უმეთვალყურეო და შეტევისთვის გამზადებული. ვალერონმა, ცხადია, პასი არ დააგვიანა, ხოლო ტრისტანი გაიქცა და ერთადერთ წინააღმდეგობას, მასპინძელთა გოლკიპერს, იოლად გაართვა თავი.

ეს გახლდათ ტრისტანის მეათე გოლი მიმდინარე სეზონში.

მასპინძლებმა თამაში ათი ფეხბურთელით ჩაამთავრეს — საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე „სელტას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ვაგნერმა ისევ და ისევ მოუსვენარი ტრისტანი დასცა.

და რაკილა ყოველ აბზაცში ტრისტანს ვახსენებთ, გამონაკლისს ნურც ამჯერად დავუშვებთ: „დეპორტივოს" თავკაცმა, ირურეტამ იგრძნო, რომ მისი გუნდის ვარსკვლავს დარჩენილ წუთებში მძიმე ტრავმა ემუქრებოდა და შეცვალა.

შედეგი: ტრისტანმა მოედანი, აგერ უკვე ზედიზედ მეორედ დასტოვა სტვენისა და ლრიანცელის თანხლებით. წინა ტურში ეგოისტობისა და პასების დაგვიანებისთვის საკუთარმა მაყურებელმა უსტვინა, ხოლო ამჯერად, გოლების გატანისთვის, მეტოქისამ.

იმ დღეს ტრიბუნაზე მჯდომი 31 800 ადამიანიდან „დეპორტივოს" მხარდამჭერი მხოლოდ 120 იყო.

**ბაგუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 24 | 10 | 10 | 4 | 42:27 | 40 |
| რეალი | 23 | 11 | 7 | 5 | 40:26 | 40 |
| დეპორტივო | 24 | 12 | 4 | 8 | 37:30 | 40 |
| ვალენსია | 23 | 10 | 9 | 4 | 27:20 | 39 |
| ალავესი | 23 | 12 | 3 | 8 | 23:19 | 39 |
| ბეტისი | 23 | 10 | 7 | 6 | 25:21 | 37 |
| ბარსელონა | 23 | 10 | 6 | 7 | 37:21 | 36 |
| ბილბაო | 23 | 9 | 8 | 6 | 31:32 | 35 |
| სევილია | 23 | 9 | 6 | 8 | 38:29 | 33 |
| ვალიადოლიდი | 23 | 9 | 5 | 9 | 25:36 | 32 |
| ესპანიოლი | 23 | 8 | 5 | 10 | 27:36 | 29 |
| ლას პალმასი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:20 | 28 |
| მალაგა | 23 | 6 | 10 | 7 | 25:27 | 28 |
| ოსასუნა | 23 | 7 | 7 | 9 | 21:27 | 28 |
| სარაგოსა | 23 | 8 | 4 | 11 | 23:33 | 28 |
| ვილიარეალი | 23 | 7 | 6 | 10 | 25:28 | 27 |
| მალიორკა | 23 | 7 | 5 | 11 | 27:30 | 26 |
| რაიო | 23 | 6 | 5 | 12 | 27:38 | 23 |
| სოსიედადი | 23 | 6 | 4 | 13 | 28:35 | 22 |
| ტენერიფე | 23 | 6 | 4 | 13 | 16:33 | 22 |




REUTERS ვიგოდან

მასპინძელმა სოლეინიომ და სტუმარმა ვიქტორმა ერთმანეთს თავის სიმაგრე მოუსინჯეს


REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ბოლტონი. დარენ ანდერტონს (მარცხნივ) თვალი სვენ გორან ერიკსონმა დაადგა

# ტოტენჰემმა თასი დალანდა

**ინგლისი**

**ასოციაციის თასი**

**1/16 ფინალი**

**ჯილინგემი (I) 1:0 როვერსი (III)**

1:0 ს. ჯონსონი (32ს.კ.)

**ტოტენჰემი 4:0 ბოლტონი**

1:0 ანდერტონი (22ჰ), 2:0 ივერსენი (35), 3:0 ეზერინგტონი (56), 4:0 ბერნესი (73ს.კ.)

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" წარმატებით გაიარა ასოციაციის თასის მეთექვსმეტედფინალიც, 4:0 მოუგო „ბოლტონს" და ახლა მერვედფინალში მეორე დივიზიონის „ტრანმერს" შეხვდება.

„ბოლტონის" წინააღმდეგ შეხვედრაში ლონდონელთა მენეჯერმა გლენ ჰოდლმა დაასვენა თავდასხმის ლიდერები ტედი შერინგემი და ლეს ფერნანდი, სამაგიეროდ, თამაშობდა დარენ ანდერტონი, რომელსაც გამოჯანმრთელების მერე მესამედ ეცვა „ტოტენჰემის" მაისურა და გამარჯვებულთა სული და გულიც იყო. ანდერტონმა თავად პენალტი გაიტანა და თითოც სტეფან ივერსენსა და მეთიუ ეზერინგტონსაც გაატანინა. ახალბედა ეზერინგტონისთვის ეს საერთოდაც პირველი გოლი იყო ტოტენჰემელთა შემადგენლობაში. ერთი გუს პოიეტსაც კი უნდა შეეგდო, მაგრამ მეოთხე გოლი თავად ბოლტონელმა ბერნესმა ჩაჭრა საკუთარ კარში.

„ბოლტონი", რომელსაც პრემიერლიგაშიც ცუდად მისდის საქმეები, საშინლად გამოიყურებოდა. მათი მეგოლის, მაიკლ რიკეტსის საცქერლად სტადიონზე მისულიყო ინგლისის ნაკრების მენეჯერი სვენ გორან ერიკსონი, თუმცა რიკეტსს არაფრით გამოუჩენია თავი, სამაგიეროდ, შვედმა აღტაცება ვერ დამალა დარენ ანდერტონის მიმართ. ამ უკანასკნელს მართლაც მშვენიერი საღამო ჰქონდა: როცა თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მოედნიდან გავიდა, მთელი „უაით ჰართ ლეინი" ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა.

პირველი დივიზიონის „ჯილინგემმა" 1:0 მოუგო მესამე დივიზიონის „ბრისტოლ როვერსს".

**ირაკლი გამყრელიძე**

**1/8 ფინალის წილისყრა**

**ტოტენჰემი — ტრანმერი (II); ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი (I); არსენალი — ჯილინგემი (I), ჩელსი ან ვესტ ჰემი — პრესტონი (I); მიდლსბრო — ბლექბერნი; ევერტონი — ქრიუ (I); უოლსოლი (I) — ფულემი; ვესტ ბრომვიჩი (I) — ჩელტენემი (III)**

**მატჩები გაიმართება 16-17 თებერვალს**

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

**პრესტონი 4:2 შეფილდ უენსდი**

1:0 ეტუჰუ (16), 2:0 მაკენი (24), 2:1 ა. ქუინი (37), 3:1 რიდი (67), 4:1 ჰილი (74), 4:2 ეკოკუ (86პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 31 | 19 | 4 | 8 | 71:40 | 61 |
| ვულვზი | 31 | 17 | 7 | 7 | 48:28 | 58 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 17 | 6 | 9 | 37:23 | 57 |
| მილუოლი | 32 | 15 | 9 | 8 | 52:34 | 54 |
| კრ. პალასი | 32 | 17 | 2 | 13 | 58:45 | 53 |
| ნორვიჩი | 32 | 16 | 5 | 11 | 44:41 | 53 |
| ბარნლი | 29 | 15 | 6 | 8 | 50:42 | 51 |
| პრესტონი | 32 | 13 | 11 | 8 | 50:41 | 50 |
| ბირმინგემი | 31 | 13 | 8 | 10 | 46:37 | 47 |
| ქოვენთრი | 31 | 14 | 5 | 12 | 39:32 | 47 |
| ჯილინგემი | 32 | 13 | 7 | 12 | 49:46 | 46 |
| ნოტინგემი | 32 | 10 | 13 | 9 | 35:29 | 43 |
| უიმბლდონი | 30 | 11 | 9 | 10 | 47:42 | 42 |
| უოტფორდი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:36 | 41 |
| პორტსმუთი | 31 | 11 | 7 | 13 | 47:51 | 40 |
| შეფილდი | 32 | 9 | 13 | 10 | 33:37 | 40 |
| ბრედფორდი | 31 | 11 | 6 | 14 | 53:57 | 39 |
| ბარნსლი | 32 | 8 | 12 | 12 | 47:59 | 36 |
| ქრიუ | 29 | 9 | 8 | 12 | 29:42 | 35 |
| როტერჰემი | 30 | 7 | 11 | 12 | 36:46 | 32 |
| უოლსოლი | 32 | 8 | 7 | 17 | 36:52 | 31 |
| უენსდი | 32 | 7 | 10 | 15 | 33:53 | 31 |
| გრიმსბი | 32 | 6 | 10 | 16 | 26:53 | 28 |
| სტოკპორტი | 32 | 2 | 8 | 22 | 29:73 | 14 |

# არის ასეთი მწვრთნელი!
## ფერგის ფერგი შეცვლის




ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერში" სამი წლით დარჩა და 11 მილიონ გირვანქასაც მიიღებს

**ბოლო** მოელო ლამის ერთწლიან ჭორაობასა და ვიშვიშს „ოლდ ტრეფორდზე", სერ ალექს ფერგიუსონი მენეჯერობას ტოვებს და მის შემცვლელად ვინ მოვიწვიოთო. ახლა ყველაფერი გაირკვა: ფერგიუსონის შემცვლელი „მანჩესტერ იუნაიტედის" საჭესთან ფერგიუსონი იქნება.

ეს ამბავი გუშინ გახმაურდა: სერ ალექსი კიდევ სამი წლით დარჩება „იუნაიტედის" სათავეში და ამისთვის 11 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამით ფერგი ყველაზე მაღალხელფასიანი მწვრთნელი შეიქნება ბრიტანულ ფეხბურთში პრემიებითა და კვირაში 70 ათასი გირვანქის შემოსავლით. აქამდე რეკორდი „არსენალის" ბოს არსენ ვენგერს ეკუთვნოდა — სამ წელიწადში 7,5 მილიონგირვანქიანი ხელფასით.

მანჩესტერელთა თავმჯდომარეს პიტერ კინიონს ერთი წლით დარჩენა შეუთავაზებია 60 წლის მწვრთნელისთვის, ამ უკანასკნელს კი უთქვამს, თუ დარჩენაა, სამი წლით დავრჩები, ოღონდ ანაზღაურებაც სხვაგვარი უნდა იყოსო. უფროსობის ყაბულმა ფერგი იტალიის და ესპანეთის ბობოლა გუნდებში მომუშავე მწვრთნელების დარი ხელფასით დააჯილდოვა.

ამისდაკვალად სერ ალექსს მოუთხოვია, დევიდ ბექჰემმა და როი კინმა კონტრაქტები უნდა გააგრძელონო. კინს სრულიად ფანტასტიკურ, ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, ჯამურად 14 მილიონი გირვანქით. გუშინ კი ბექჰემის მამამ, ტედმა განაცხადა, რომ მისი შვილიც ყაბულსაა გუნდში დარჩენაზე და აუცილებლად მოაწერს ხელს ახალ კონტრაქტს.

ასე რომ, „მანჩესტერში" ძველი ახალი ცხოვრება იწყება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გოლი, რომელიც უეფაზე მეტია

**შოტლანდია**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

**რეინჯერსი 2:1დ.დ.(1:1) სელტიკი**

1:0 ლოვენკრანდსი (45), 1:1 ბალდე (74), 2:1 კონტერმანი (105)

არველაძემ ვერ გაიტანა პენალტი (76, ხარიხა)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, კ. მური (ტ. ვიდმარი 63), ლ. ამორუზო (ფლო 51), ნუმანი, კონტერმანი, რ. დე ბური (ს. ჰიუზი 90), ბ. ფერგიუსონი, კანიჯა, შ. არველაძე, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

სელტიკი: დუგლასი, ვალგაერენი, ბალდე, მიალბი, ლამბერტი (მორავჩიკი 72), ს. პეტროვი (პეტა 105), ლენონი, ტომპსონი, აგატი, ჰართსონი (სატონი 64), ლარსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ფერგიუსონი, ლენონი, არველაძე, კონტერმანი, კანიჯა, ნუმანი, ბალდე, ლარსონი, სატონი

მსაჯი: კლარკი

43 547 მაყურებელი

**მატჩამდე** „რეინჯერსის" მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და წლეულს 23 გოლის შემგდებ ტორე ანდრე ფლოს შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე დააწყებინა.

ალბათ, ამის ბრალი არ იყო, მაგრამ მატჩის პირველმა ნახევარმა მაინც „სელტიკის" უპირატესობით განვლო. სტუმართაგან, ცხადია, ყველაზე მეტად ჰენრიკ ლარსონი ბობოქრობდა — მისი ორი სახიფათო მიმალვებიდან ერთი შტეფან კლოსის წვივმა აირიდა, მეორე კი თავად შვედმა გააცუდა. აიბროქსელთა დალაშქვრა ერთ მომენტში ჰართსონსაც ფეხეწიფებოდა.

„სელტიკის" ამ გაგანია ალყისას რონალდ დე ბურმა, ვისაც შაბათს „დანდისთან" ეუქმა და ამიტომ მეტიც მოეთხოვებოდა, შოთა არველაძეს ჩინებული ქროსი ჩაუწოდა, მაგრამ ჩვენებურის დარტყმამ კარის ძელმა ჩაიარა. კადნიერმა შეპასუხებამ სტუმრები ერთგვარად შეაკრთო და „რეინჯერსმა" მათ საჯარიმოსთან მიახლოებას უხშირა. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას კანიჯამ ისევ არველაძე მოძებნა, მაგრამ შოთას დარტყმა ამჯერად რობერტ დუგლასმა გააუვნებლა.

თამაშში გარდატეხა უკვე შესამჩნევი იყო და მეორე ნახევარი ხერიანად არც დაწყებულიყო, არველაძემ რიკსენის ჩაკიდული ლოვენკრანდსის გზაზე რომ გადაიყვანა და ამანაც 1:0 ანთო. მოსათხრელის ალაგილზევე მოსათხრელად მაკლიშმა მინდორზე ფლოც შეიყვანა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ლიცვაში ბურჯად მდგარი მური ტრავმის გამო შესაცვლელი შეიქნა და სტუმრებმაც უმალ მის არყოფნაში გაჩენილი ბზარები დაძებნეს. 74-ეზე ალან ტომპსონმა კუთხური ჩაჰკიდა, მოლბემ ბურთი კართან შეჯგუფებული ხალხისკენ გაუშვა და ბობო ბალდე იქ ყველაზე მარჯვე აღმოჩნდა 1:1.

თუმცა, ამ მომენტიდან 2 წუთში მასპინძლებს საქმის მოთავების დიდებული შანსი კიდევ მიეცათ, ოღონდ არველაძემ ლოვენკრანდსის მოცელვის გამო დანიშნული პენალტი გოლად ვერ აქცია. ბურთი ხარიხაზე გადასხლტა.

მერე კი დამატებითი დრო და ნერვების წყვეტა იყო, რომელშიც „რეინჯერსი" როგორღაც უფრო ღონიერი ჩანდა. გოლების გატანა ფერგიუსონსა და ნუმანს შეეძლოთ, მაგრამ ყველაფერი 105-ეზე ჰოლანდიელ ბერტ კონტერმანის მიერ 30 მეტრიდან ყუმბარასავით გასროლილმა გადაწყვიტა. ეს გოლი ტყუპისცალივით ჰგავდა მის მიერვე ადრე უეფას თასზე მახაჩყალის „ანჟისთვის" გატანილს, მხოლოდ მნიშვნელობით კი, რასაც ბევრი ახსნა არ სჭირდება, შეუდარებლად მნიშვნელოვანი რამ იყო.

**ლევან ძელაურაძე**


REUTERS გლაზგოდან

ბერტ კონტერმანის გოლმა „რეინჯერსი" ფინალში გაიყვანა

# გრეგორი სასჯელს ცხვრებში მოიხდის



ჯონ გრეგორი



ლი ბოიერი

**ჯონ გრეგორის** „ასტონ ვილას" მწვრთნელობისას ჩადენილი დანაშაულის მონანიება „დერბი ქაუნთიში" მოუწევს. „ასტონ ვილასა" და „ლივერპულის" მატჩის დროს გვერდით მსაჯთან კამათის გამო იგი სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე აბრძანეს. პრემიერლიგაში კი საქმე ისეა აწყობილი, რომ სადისციპლინო კომიტეტი დისკვალიფიკაციის გამოტანის საკითხს მომხდარი ინციდენტიდან კარგა ხნის მერე განიხილავს-ხოლმე.

ამასობაში, სანამ სადისციპლინო კომიტეტი გრეგორის საქციელზე იმსჯელებდა, მან „დერბი ქაუნთის" მწვრთნელის პოსტზე მოასწრო გადასვლა. საქმის განხილვა კი ახლახან შეფილდში გაიმართა და ორმოცწუთიანი მსჯელობის შემდეგ დაადგინეს, გრეგორი სამმატჩიან დისკვალიფიკაციას იმსახურებს.

სასჯელის ვადის ათვლა 25 თებერვლიდან დაიწყება და 48 წლის მწვრთნელი „დერბი ქაუნთის" „მანჩესტერ იუნაიტედთან", „არსენალთან" და „ბოლტონთან" მატჩებში კუთვნილი ადგილიდან ვერ დაეხმარება. მას ტრიბუნაზე გადანაცვლება მოუწევს, თან 12 ათას გირვანქა ჯარიმასაც გადაიხდის.

ორჯერ უფრო მკაცრად და თან 10 ათასი გირვანქით დააჯარიმეს „ლიდს იუნაიტედის" ნახევარმცველი ლი ბოიერი. მისი საქმეც შეფილდში განიხილეს და ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ფეხბურთელს „ლივერპულთან" შეხვედრაში მოწყობილი აურზაურისთვის მოუწევს ტრიბუნაზე ანაცვლება.

მატჩის ოფიციალურ დელეგატთან კამათი კიდევ ერთ ლიდსელს, დენი მილსსაც არ შეარჩინეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც აჰკიდეს, ამასთან, 7 500 გირვანქა ჯარიმაც გადაახდევინეს. ეს ფეხბურთელები ვერც ინგლისის ნაკრებში შეძლებენ თამაშს, როცა ბრიტანელები ჰოლანდიელებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

**ნიკა შუბლაძე**




კლაუდიო კანიჯამ (№7) „რეინჯერსში“ ახალგაზრდობა გაიხსენა

# არგენტინა განახლებისთვის ემზადება

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ კარდიფში, უელსთან ამხანაგური მატჩისთვის, შოთა არველაძის თანაგუნდელ კლაუდიო კანიჯას უხმო.

35 წლის ვეტერანს ნაკრებში 1996 წლის შემდეგ არ უთამაშია, ახლა კი „რეინჯერსში“ კარგი გარჯის წყალობით შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ამოჰყოს თავი.

ნაკრებშია სამხრეთ ამერიკის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ხუან რომან რიკელმეც, რომლის კლუბ „ბოკა ხუნიორსს“ განუცხადებია, ნაკრებში წასასვლელად არანაირ პრობლემებს არ შევუქმნითო. საქმე ისაა, რომ შარშან, ნოემბერში, „ბოკამ“ თავისი მთავარი ვარსკვლავი, საკონტინენტთაშორისო თასის გამო ეროვნულ გუნდში არ გაუშვა. საერთოდ კი, ხუან რომანს ნაკრებში 1999 წლის კოპა ამერიკის შემდეგ აღარ უთამაშია.

კანიჯასა და რიკელმესთან ერთად ბიელსა უახლოეს ამხანაგურ შეხვედრებში თავის გამოჩენის შანსს, ალბათ, ახალგაზრდა არგენტინელებსაც მისცემს. იქაური პრესა იტყობინება, მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი ამხანაგურ მატჩებში შესარჩევ ციკლთან შედარებით საკმაოდ სახეცვლილი წარდგებაო.

თავად ბიელსა მარტში ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული, 35-კაციანი სიის გამოქვეყნებას აპირებს. ამ სიაში, რომელიც საბოლოო სახეს 23 მაისს მიიღებს, აუცილებლად მოხვდებიან ბარსელონელი სავიოლა, „ჰამბურგის“ ახალშენაძენი ბერნარდო რომეო და რივერპლეიტელი ანდრეს დალესანდრო.

სამხრეთამერიკელები კარდიფულის გარდა კიდევ ორი მატჩის ჩატარებას გეგმავენ — აპრილში შტუტგარტში გერმანიასთან, ხოლო მარტში რომელიმე აფრიკულ ნაკრებთან — სავარაუდოდ, კამერუნთან. რაც შეეხება 13 თებერვლის ამხანაგურ შეხვედრას, მასზე ბიელსამ არ უხმო რომაელ გაბრიელ ბატისტუტას და ლაციოელ ერნან კრესპოს. პსჟ-ს მცველ პოჩეტინიოს და სელტელ ბერიზოს კი ტრავმები აწუხებთ.

დაბოლოს, არგენტინა და უელსი ერთადერთხელ, 1992 წელს იაპონიაში გამართულ ტურნირზე შეხვდრიან ერთმანეთს. იმ მატჩში ერთადერთი გოლი გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა.

**სერგი ტორაძე**

# ვერონი უკან, იტალიისკენ იმზირება



**ინგლისური** „სანის“ მიერ გავრცელებული ცინცხალი ცნობა ბევრს გააწბილებს, მაგრამ ბევრსაც გაახარებს. ინგლისური ტაბლოიდის ინფორმაციით, ფეხბურთელი, რომელშიც ქვეყნის ყველაზე მდიდარმა გუნდმა ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხა გადაიხადა, შესაძლოა, თავის ყოფილ გუნდს, იტალიურ „ლაციოს“ დაუბრუნდეს.

ცხადია, რომაელ გულშემატკივრებს ხუან სებასტიან ვერონის „ოლიმპიკოზე“ დაბრუნება ძალიან სურთ და „სანური“ ცნობის სისწორისა დიდადაც ეიმედებათ, მაგრამ ვაი, რომ ფეხბურთელის გუნდიდან გუნდში გადასვლა-გადმოსვლის საკითხს მხოლოდ მასმედია ვერ წყვეტს.

ირწმუნებიან, რომ არგენტინელმა თავისი აგენტი უკვე დაგეშა. იგი „ლაციოს“ უფროსობას, მამა-შვილ კრანიოტებს ევროპიდან კარგა მოშორებით, დასავლეთ ნახევარსფეროში შეხვდება. სერჯო და მასიმო კრანიოტები ამჟამად ბრაზილიაში, პირად საქმეზე ყოფილან.

თუმცა იტალიელ ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ სხვა წყაროები ვერონისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ურთიერთობას სრულიად განსხვავებულ ფერებში ხატავენ. „როიტერმა“ ამას წინათ ისიც გვაუწყა, ხუან სებასტიანი „ოლდ ტრეფორდზე“ ბედნიერიაო. ჰოდა, მოდი და გაიგე რამე...

ამასობაში „სანი“ აგრძელებს: „ლაციო“ შვილივით საყვარელი არგენტინელის დასაბრუნებლად ძალას და თანხას არ დაზოგავს. ამისთვის შეიძლება დახლზე ალესანდრო ნესტაც კი დადოს“.

თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ მესვეურთა პოზიციის შესახებ „სანი“ დუმს. ამიტომაც გვგონია, რომ ოლდტრეფორდელები ვერონს მაგრად ჩაბღუჯავენ. თუმცა ხუან სებასტიანის ძმას და მეგობარს, ყოფილ და ეგებ მომავალ თანაგუნდელსა და თანაკრებელ კლაუდიო ლოპესს ესეც არ მიაჩნია დიდ პრობლემად: „ვერონის დაბრუნება ძალიან გამახარებს. გარდა იმისა, რომ ჩემი მეგობარია, იგი დიდი ფეხბურთელი და ბუნებით ჩემპიონია. ჩემი აზრით, მის „ოლიმპიკოზე“ დაბრუნებას ხელს არაფერი უშლის და რომც უშლიდეს, ვერონის ავტორიტეტი ამ საქმეს მისთვის სასიკეთოდ დაასრულებს“.

**გიორგი გამარჯაშვილი**

# ხან აქ არის, ხან იქ არის კრუიფია იოჰანი

**მადრიდში**, ერთ-ერთ ფორუმზე, უამრავ ცნობილ ადამიანს მოეყარა თავი. ვინ გინდა, იქ რომ არ ყოფილიყო: ხოსე ანტონიო კამაჩო, ემილიო ბუტრაგენიო, ხორხე ვალდანო და, რაღა თქმა უნდა, დიდი იოჰან კრუიფი. „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი ამგვარ შეკრებებს თითქმის არ აცდენს.

მოგეხსენებათ, ჰოლანდიელს სჩვევია სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე თავისი აზრის გამოთქმა და ასეთ შანსს, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებდა. აქეთ მოდგა, იქით მიდგა „მფრინავი იოჰანი“ და ბოლოს ვისენტე დელ ბოსკეს მიადგა.

რა გასაკვირია, „ბარსელონას“ ყოფილმა და „რეალის“ მოქმედმა მწვრთნელებმა ფეხბურთზე საუბარი რომ გააბეს. ჟურნალისტებს ეს წყვილი, ცხადია, არ გამოპარვიათ. ისიც იცოდნენ, რომ იოჰან კრუიფი მათ სიტყვას არ დაამადლიდა და სიამოვნებით დაელაპარაკებოდა.

დამთავრდა საბჭოთა ერა. მაია ჩიბურდანიძემ დაკარგა ჩემპიონის ტიტული. მოჭადრაკე ქალთა გუნდური წარმატებები, საბედნიეროდ, გაგრძელდა. დამოუკიდებლობის პერიოდის ათწლეულში ხუთი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართა. შედეგი ფანტასტიკურია, ზედიზედ სამი გამარჯვება: 1992, მანილა (ჩიბურდანიძე, გაფრინდაშვილი, იოსელიანი, გურიელი), 1994, მოსკოვი (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი), 1996, ერევანი (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი); ბრინჯაოს მედალი — 1998, ელისტა (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, ხურციძე), გუნდური ვერცხლი — 2000, სტამბოლი (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, ხურციძე, გურიელი). სრული სურათისთვის ევროპის გუნდური ჩემპიონობაც მივამატოთ (1997, პულა) და ევროპული ვერცხლიც (1992, დებრეცენი), სათადარიგო შემადგენლობით რომ მოიპოვეს, რადგან ჩიბურდანიძე და იოსელიანი ინდივიდუალურ მსოფლიოს ჩემპიონატში იყვნენ დაკავებული.

მთელი ახალგაზრდობა კალათბურთის ქომაგი ვიყავი. დღეს ყველაზე მეტად ჩვენს მორაგბეებს ვგულშემატკივრობ. როდესაც მათ თამაშს ვუყურებ, ან მათ გამოსვლას ვუსმენ, ქართველობა მეამაყება. მორაგბეები თითქოს განსხვავებული ჯიშია, ნამდვილქართული მუხტით სავსენი, სიამაყის გრძნობას რომ გიღვიძებს. ჩვენი ბიჭების თამაშს რომ უყურებ, ხვდები — ეს მხოლოდ თამაში არ არის. ასე იბრძვიან სამშობლოსთვის. ჩვენც ასე ვიბრძოდით — 10 წლის განმავლობაში...

საინტერესოა, რომ რაგბის პირველი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი იყო. პრეზიდენტი — ბორის პაიჭაძე. ნონა წლების განმავლობაში მორაგბეთა გუნდ „ყოჩების" პრეზიდენტიც იყო, ამიტომ მისი რაგბის გულშემატკივრობა ბუნებრივი და გასაგებია. მაგრამ...

სპორტსმენი ან გუნდი სპორტულ მოედანზე იბრძვის გამარჯვების მისაღწევად, ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა და საუკეთესო გუნდის სახელის მოსაპოვებლად კი, ჩემი აზრით, არ იბრძვიან. ასეთი რამ პასუხისმგებლობით, პროფესიულად ჩატარებულ, ობიექტურ და კორექტულ გამოკითხვაში უნდა ხდებოდეს. ჭადრაკის ფედერაციაში ათწლეულის გამოკითხვას ირონიით მხოლოდ ერთი ახსნა მოუძებნეს — აქტიურად უნდა „გვემუშავა". ფედერაციის კარგი „მუშაობა" გულისხმობს დიდი რაოდენობით ანკეტების შევსებას, თუნდაც შვილების და შვილიშვილების კლასელების ხარჯზე. მოკლედ, ვინც მეტი ანკეტის მობილიზება მოახერხა, ის არის გამარჯვებული. ესე იგი, ყველაფერი აქტიურობაზეა დამოკიდებული. მაშ, შედეგი რა შუაშია? არც არაფერ შუაშია, ამიტომაც — არც შეუხსენებიათ გამოკითხვისას.

საუკუნის სპორტსმენის სახელის მოსაპოვებლად ვიქტორ სანეევს არ უაქტიურია (იმიტომ, რომ ავსტრალიაში ცხოვრობს, თუმცა აქტიურობა აზრადაც არ მოუვიდოდა); არც ანკეტები შეუვსია (თავის და სხვის მაგივრად).

მე არ შემხვედრია ადამიანი, ვისაც ათწლეულის გუნდი არ გაკვირვებია. მეკითხებიან, რა შეიძლება გაკეთდეს გაყალბებული ისტორიის გამოსასწორებლად. ნამდვილად არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, მე რა უნდა გავაკეთო...

შარშან საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადება-თხოვნით გავხდი ევროსაბჭოში საქართველოს ეროვნული ელჩი სპორტში და სამართლიან თამაშში.

გამოკითხვამ უფრო ნათლად დამანახა, რომ სამართლიან თამაშს სერიოზული პროპაგანდა სჭირდება — ის, რაც მე ვერ შევძელი. ამიტომ ვალდებული ვარ, დავტოვო ეს პოსტი იმ იმედით, რომ მოინახება უფრო ენერგიული და უფრო თავისუფალი დიდი სპორტსმენი, რომელიც გაცილებით უკეთ შეძლებს ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დატვირთვის შესრულებას.

მე — ასე მოვიქცევი.

რა უნდა ქნან სხვებმა...

ასეთი ამბავი ვიცი გადმოცემით. ჩვენს დიდ ფალავან ლევან თედიაშვილთან ასპარეზობისას მთავარმა კონკურენტმა კისერი იტკინა. ჩემპიონატი ლევანმა მოიგო. მოჭიდავეს, ვინც თედიაშვილთან ტრავმა მიიღო, ბრინჯაოს მედალი ერგო. დახურვის ცერემონიალზე, როცა კვარცხლბეკზე მდგომ ჩვენს ფალავანს გამარჯვებულის პრიზი გადასცეს, ლევანი მიტრიალდა და მესამე ადგილზე გასულს გადაულოცა ეს პრიზი. ლეგენდა მეგონა, ლამაზი ლეგენდა. სიმართლე ყოფილა.

ერთი ასეთი ამბავიც დამამახსოვრდა, გვარების გარეშე. მარათონულ სირბილში გამოკვეთილი ლიდერი ფინიშამდე რამდენიმე მეტრში წაიქცა. უახლოესმა მდევარმა ფინიშის გადაკვეთა კი არ სცადა, არამედ წამოაყენა წაქცეული და გადააკვეთინა ფინიშის ხაზი. ჩათვალა, რომ სწორედ მას ეკუთვნოდა გამარჯვება.

„სამართლიან თამაშს" ჩვენს სინამდვილეში, სადაც სამართლიანობა დეფიციტია, სერიოზული პროპაგანდა და ძალისხმევა სჭირდება. მე ეს ვერ შევძელი, არადა, ყველაზე მეტად სწორედ „სამართლიანი თამაში" გვჭირდება, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

**ნანა ალექსანდრია**



## საჭადრაკო კლუბი

**დღეის** „სარბიელიდან" ვიწყებთ ახალ რუბრიკას, რომელიც ქართველ მოჭადრაკე მანდილოსანთა დიდი ოთხეულის, ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის, ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანის სახელობისა იქნება. მათი წვლილი ქართული და მსოფლიოს ჭადრაკის განვითარებაში უნიკალურია, სხვა თუ არაფერი, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატების 4 ფინალი წმინდა ქართული შემადგენლობით ჩატარდა. აი, ისინი: გაფრინდაშვილი — ალექსანდრია (ბიჭვინთა — თბილისი, 1975 წელი); ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი (ბიჭვინთა, 1978); ჩიბურდანიძე — ალექსანდრია (ბორჯომი — თბილისი, 1981); ჩიბურდანიძე — იოსელიანი (თელავი, 1988)

რუბრიკა რეგულარულად შემოგთავაზებთ ჭადრაკის ლამაზ ფრაგმენტებს, ისტორიული პარტიების დაბოლოებებს და ასე შემდეგ. ამ საქმეს ქალბატონი ნანა ალექსანდრია და საჭადრაკო კომპოზიციაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი, დავით გურგენიძე გაუძღვებიან.

„პირველ ნომრად" გთავაზობთ 1963 წელს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში გათამაშებულ პარტიას ნონა გაფრინდაშვილსა და სპორტის ოსტატ ბლაგიძეს შორის, რომელშიც თეთრებით მოთამაშე ქალბატონმა ნონამ ბრწყინვალე კომბინაცია განახორციელა.

### საწყისი პოზიცია



13. მh5!! gh 14. ეxf7!! ლe5 15. ეf5!! და შავები დანებდნენ (ვარიანტი 15... ef 16. ლh5+ მფf8 17. ლf7X)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სასამართლოში წოწიალი საჭირო არ არის: წოწელია თავისუფალი და დინამოელია

**ქართულ** კალათბურთში მოსალოდნელი პირველი სასამართლო არ შედგა. თბილისის „მაკაბიმ“ გოჩა წოწელია გაათავისუფლა, შედეგად „დინამო“ კიდევ უფრო შეივსო.

საკმაო ხანია, წოწელია „დინამოსთანაა“. პირველი წრის შემდეგ „მაკაბის“ ფორვარდი ლევან მოსეშვილის ბანაკს ბაკურიანში გაჰყვა შეკრებაზე, შემდეგ კვიპროსზე, სადაც მისი გარჯა დადებითად შეფასდა და წოწელიას გადინამოელებას ერთი დეტალიღა აკლდა — „მაკაბის“ თანხმობა.

„მაკაბი“ კი გაჯიქდა, კონტრაქტით ჩემი ხარ და მინდა გაგიშვებ, მინდა არაო. კალათბურთელმაც თავისი თქვა — რომც არ გამათავისუფლოთ, გუნდში გამჩერებელი არ ვარო. დაიწყო მეორე წრე და წოწელია არც ერთ გუნდში გამოჩენილა, სხვა საქმით იყო დაკავებული: მისმა ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი, წოწელიას „მაკაბისთან“ დადებული კონტრაქტი გაუმართავიაო.

მტყუან-მართლის გარჩევის დღე ახლოვდებოდა, როცა „მაკაბიმ“ გოჩა წოწელია გუნდიდან გაათავისუფლა. სასამართლო აღარ შედგება.

—„მაკაბი“ თანახმაა, გუნდიდან ყოველგვარი პირობის გარეშე გამიშვას. ჩემი ადვოკატი სასამართლოდან საქმეს ხვალ გამოიტანს. ახლა უკვე სრულუფლებიანი დინამოელი ვარ. კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ არსებობს სიტყვიერი შეთანხმება. თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, ამ შაბათს ვითამაშებ“ — გვითხრა გოჩა წოწელიამ.

**ირაკლი ბერტაია**

**NBA.** რეგულარული ჩემპიონატი

# მაიკლ ჯორდანი და ზაქარია ფალიაშვილი: ჯერ ქმენით!

**5 თებერვალი**

**მაიამი 73:76 ატლანტა**

**მაიამი:** რ. სტრიკლენდი (16), ჯონსი (16), გილი (7), გრანტი (10 ქულა, 13 მოხსნა), მურნინგი (10); ელისი (6), მაუსი (4), ჯეკსონი (2), სტეფანია (12 წუთი, 2 ქულა, 9 მოხსნა, 2 დაფარება)

**ატლანტა:** ნიუბილი (2), ტერი (16), აბდულ-რაჰიმი (34 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსონი, მუჰამედი (9); მოტოლა (10), ვონი (6), ე. სტრიკლენდი, ბოუდლერი

„გამოღვიძებულმა „მაიამიმ“ კიდევ ერთი მოზრდილი ნაბიჯი გადადგა პლეი ოფისკენ“ — დღეისთვის რაღაც ამგვარს დავწერდით, „მაიამის“ რომ მოეგო (წესით, უნდა მოეგო, რადგან 5 თებერვლის მეტოქეზე ბევრად ყოჩაღები გაუმწვარებია და ახლაც მხოლოდ გამარჯვებას გეგმავდნენ პატ რაილის ბიჭები), მაგრამ წააგო და, რაც განსაკუთრებით საწყენია, წააგო უხეირო მეტოქესთან.

„ეს იყო უზარმაზარი ნაბიჯი უკან — ასე აფასებს „ატლანტასთან“ მარცხს „მაიამის“ მწვრთნელი პატ რაილი — ახლა, როდესაც ყოველი გამარჯვება ასე ფასობს ჩვენთვის, არ უნდა გაგვეშვა სუსტ მეტოქესთან მოგების შანსი“.

„მაიამიმ“ ვერ ისარგებლა შემთხვევით და კვლავ „ნიუ იორკის“ ზურგსუკან, ატლანტიკაში მეშვიდე, აღმოსავლეთში კი მეთორმეტე ადგილს შერჩა. პლეი ოფად წოდებულ მიზანს და „ჰითს“ შორის კვლავაც რჩება გალავნი, რომელსაც ერთბაშად ოთხი სოლიდური გუნდი ქმნის.

მარცხმა გული ჩასწვიტა ფლორიდელთ. აბა, რა იქნებოდა, ბიჭებმა თავიანთი თამაში ითამაშეს. მაიამურმა დაცვამ მეტოქეს 80 ქულაც არ ჩააგდებინა და მაინც წააგო, შეტევაში რამდენიმე ქულა დააკლდა. შესაძლოა, ის ქულები, რომლებიც ორმა სათადარიგომ — ვოვა სტეფანიამ და ჯიმ ჯეკსონმა დაიკლეს.

სტეფანიამ საკუთარ ნახევარზე პრაქტიკულად უნაკლოდ იმოქმედა, ერთხელაც არ დაჯარიმებულა და თავისიანებს ცხრა მოხსნა და ორი დაფარება შეაშველა, აი, შეტევაში კი... სტეფანია დაცვით მოთამაშედ ჩამოყალიბებულა, შეტევა მისი სტიქია არაა, ახლაც თამაშიდან ექვსჯერ შეუტია ჯორჯიელთა კალათს და ერთადერთხელ ივარგა. გაცილებით არაზუსტად ირჯებოდა როგიანი მეჩულე ჯეკსონი, მისი მონაგარიც ორი ქულა (რვა სროლიდან) გახლავთ.

მარცხის ჩვენებურზე გადაბრალება მაინც უადგილოა, ვოვა თავის გუნდში ეპიზოდური როლების შემსრულებელია და თუ მან სროლები იკისრა, უთუოდ შეტევაში თავისიანთა უხეირობის გამო. ამ მხრივ „მაიამის“ ლიდერთაგან სხვებზე მეტად ალონზო მურნინგმა მოიკოჭლა. მისი მონაგარი ათი ქულა ამ ყოჩაღი მეფარის შესაძლებლობების ნახევარიც ვერაა.

ქებას იმსახურებს ატლანტელთა ლიდერი შარიფ აბდულ-რაჰიმი, რომელიც იმ საღამოს მაიამელთა უხასიათობის პირდაპირი მიზეზი გახდა. „ატლანტას“ პირველ მეჩულეს გულით ეწადა, დაემტკიცებინა, რომ ამ კვირას გასამართ „ოლ სტარის“ აღმოსავლეთის ვარსკვლავთგუნდში დამსახურებულად აირჩიეს და მოახერხა კიდეც „ჰითის“ კალათში 34 ქულა ჩააგდო. „ყველამ კარგად ვიცით, „მაიამი“ კიდევ ერთი გუნდია, ყოველი მეორე ვერ უგდებს ოცდაათ და მეტ ქულას. ძალიან მიხარია, რომ ეს შევძელი“ — თქვა ნამატჩევს შარიფმა.

აბდულ-რაჰიმმა პირველივე მეოთხედიდან გაჭრა გზა „ჰითის“ კალათისკენ და არ დაგიდევდათ, მის დრიბლინგს გილი ან ელისი ახლდნენ თუ მურნინგი ან სტეფანია ელობებოდნენ. ის ხშირად ცვლიდა ტაბლოზე გამოსახულ ანგარიშს და საბოლოოდ ჯორჯიელებს თავისი გაატანინა.

**ვაშინგტონი 99:94 ტორონტო**

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (23), ჰამილტონი (16)

**ტორონტო:** კარტერი (29), დევისი (14)

**დეტროიტი 86:82 ფილადელფია**

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (29)

**ფილადელფია:** აივერსონი (26 ქულა, 6 ჩაჭრა), მუტომბო (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ინდიანა 140:141 დალასი**

ძირითადი დრო 120:120

**ინდიანა:** როუზი (33), კრომერი (32 ქულა, 12 მოხსნა), მილერი (23), ტინსლი (18 ქულა, 19 პასი)

**დალასი:** ნოვიცკი (38 ქულა, 17 მოხსნა), ფინლი (31 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (25 ქულა, 10 პასი), ჰარდევეი (21)

**ნიუ იორკი 110:112 კლიპერსი**

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (40)

**კლიპერსი:** რიჩარდსონი (30 ქულა, 12 მოხსნა), მეჯიტი (25), მაკინისი (19), ბრენდი (19 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება)

**მემფისი 86:79 იუტა**

**მემფისი:** ბატიერი (20), გასოლი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**იუტა:** კირილენკო (15), – მელოუნი (7)

**დენვერი 97:96 პორტლენდი**

**დენვერი:** ლაფრენცი (25), ვან ექსელი (20 ქულა, 16 პასი, 6 მოხსნა)

**პორტლენდი:** პატერსონი (31), სტუდემაიერი (20), პიპენი (13 ქულა, 10 პასი)

**ორლანდო 106:98 კლივლენდი**

**ორლანდო:** მაკგრეიდი (29), ჰადსონი (21)

**კლივლენდი:** პერსონი (21)

**გოლდენ სტეიტი 87:113 სიეტლი**

**გოლდენ სტეიტი:** ფორტსონი (18)

**სიეტლი:** ლუისი (25), ბერი (21), პეიტონი (20), რადმანოვიჩი (19)




REUTERS

ტორონტოელი ვინს კარტერი ამაოდ დაშვრა მაიკლ ჯორდანის დევნაში

**შარლოტი 79:82 ბოსტონი**

**შარლოტი:** დევისი (25), ნეილონი (17)

**ბოსტონი:** პირსი (24), უოლკერი (19)

მაიკლ ჯორდანი ამისთვის დაბრუნდა კალათბურთში. მის სამწლიან უქმობაში ნბა-ს ჯეილ ვარსკვლავთა ახალი ტალღა მოაწყდა და ახლების დაჯაბნის სურვილმა მაიკლი კალათბურთისკენ შემოაბრუნა. ამის გამო მან ლამის ოჯახი და ქონება დაკარგა (ახლა, მგონი, ცოლს ურიგდება).

მეურნავი საოცრება ვინს კარტერი მაიკლის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზია. ახალ ჯორდანად წოდებულ კარტერს იქნებ გულში უხარია, ჯორდანს რომ აზომებენ (სახალხოდ ამბობს, მე მხოლოდ ვინს კარტერი ვარო), მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ის დიადი მაიკლის ზურგსუკან რჩება. საქმე საქმეზედ კი მეორედ მიდგა. ამჯერადაც ჯორდანმა და მისიანებმა იზეიმეს.

ბებერ და სისხლსავსე ვარსკვლავებს შორის პაექრობის დასაწყისი პირველის შერცხვენას ამწიფებდა. პირველ ნახევარში კარტერი ბობოქრობდა და ჯორდანი ცუდად უშლიდა ხელს. ტორონტოელმა 25 ქულა მიითვალა, ვაშინგტონელს კი ოდენ სამი უჩხრიალებდა ჟულაბაში.

დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ, ჯორდანი პირველ ტაიმში თავს იკავებდა და ძალას ზოგავდა თუ უბრალოდ ცუდად თამაშობდა, მაგრამ მისი შესაძლებლობები სამი ქულის იქით რომ მიდის, მეორე ნახევარში ყველამ ცხადად დაინახა, განსაკუთრებით ტორონტოელებმა და მათ შორის გამორჩეულად კარტერმა. ტორონტოელი სუპერვარსკვლავი მეორე ნახევარში ნბა-ში შემთხვევით მოხვედრილ ძალად კალათბურთელ ბიჭუნას დაემსგავსა, რომელსაც ჯორდანის შეჩერება მიუსაჯეს. ახლა მაიკლმა მიჰყო ხელი ოპონენტის ჩაგვრას და მესამე-მეოთხე თორმეტწუთეულებში თავისიანებს ოცი ქულა შეაშველა. საბოლოოდ ჯორდანმა შეხვედრა 23 ქულით დაასრულა, რაც კარტერის მონაგარს ექვსით ჩამორჩება, მაგრამ ამ ორს შორის უფრო ხნიერს ავუწიოთ ხელი, რაკილა ახალგაზრდის გარჯამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

ვიცე-ჩემპიონმა „ფილადელფიამ“ ისევ წააგო „დეტროიტთან“, რადგან ამ უკანასკნელს „ფილადელფიიდან“ გამოგდებული ჯერი სტეკჰაუზი ლიდერობს. სტეკჰაუზს ყოფილი გუნდის ბოღმა ახრჩობს. თურმე იქიდან იმისთვის დაუთხოვიათ, რომ ალენ აივერსონს მეტი გასაქანი მისცემოდა.

ზღაპარ თამაშს უმასპინძლა ინდიანაპოლისმა. იქ ჩასულმა „დალასმა“ დამხვდურ „ინდიანას“ თავისი ლაღი და შემტევი თამაში მოახვია თავს და თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეასრულა დასახული ამოცანა. გამარჯვებული მეორე დამატებითმა დრომ გამოავლინა. სტუმართა უცხოტომელმა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ მეორე ოვერტაიმის დასრულებამდე ოთხი წამით ადრე ორი საჯარიმო ჩააგდო და ერთ თამაშში 140 ქულის მომგოვებელ გუნდს წააგებინა.

ქალაქ ლოს ანჯელესის უმცროსი შვილი „კლიპერსი“ „მედისონ სკვერ გარდენში“ მოუხდა და საქმე გაფუჭა ნიუ იორკის ყოფილი სიამაყე „ნიქსს“, რომელსაც ვერც ტრიბუნებიდან შეშველებულმა გამამხნევებელმა შეძახილებმა უშველა და ვერც ალან ჰიუსტონის სეზონის სარეკორდო ოთხმა ათეულმა ქულამ.

საკალათბურთო საზოგადოების თვალში კიდევ უფრო ამაღლდნენ „მემფის გრიზლიზი“ და მისი ესპანელი ლიდერი პაუ გასოლი. კნაჭა პაუმ ზორბა კარლ მელოუნი შეარცხვინა, მისიანებმა კი „იუტა ჯაზი“ გაავორეს.

**ირაკლი ფირცხვილი**

!

**ზაქარია ფალიაშვილს ახალგაზრდა კომპოზიტორი აუხირდა, თქვენი მუსიკა მოძველდაო. შვილებო, როგორ დაგწყევლოთ, მაგრამ თქვენ ყველას ჩემი მუსიკით გაგასვენებენო, უთქვამს ფალიაშვილს**

!

# გაყრას შეყრა სჯობს

**გუშინწინ** ამერიკულმა გაზეთებმა და სხვა საინფორმაციო საშუალებებმა მაიკლ ჯორდანის მოყვარულ, ანუ ქვეყნის უდიდეს ნაწილს ასეთი რამ ახარეს — „ჯორდანმა შეინარჩუნა ოჯახი და ქონება“.

სამი დღის წინ ხუანიტა ჯორდანმა უკან გამოითხოვა განქორწინების ფურცელი, რომელიც ამ ორიოდ კვირის წინ შეიტანა შესაბამის ინსტანციაში და ამბობს, მე და მაიკლმა გადავწყვიტეთ, მეორე შანსი მივცეთ ჩვენს ქორწინებასო. მცირე ხნის წინ ეს ქალი მსოფლიოს ერთ-ერთ უპოპულარულეს და უსაყვარლეს პირთან განქორწინებას, 12-წლიანი ერთობის მანძილზე ოჯახში შესული ფულის ნახევარს, სამ შვილზე მეურვეობასა და კიდევ ბევრ რამეს მოითხოვდა.

მაიკლ ჯორდანის ქონება ერთი-ორი მილიონი არ გეგონოთ. ერთი პოპულარული გამოცემის მოკვლევით, მისი (თუ მისი ოჯახის) საკუთრება ფულად 398 მილიონს შეადგენს და ახლა, როგორც ირკვევა, ჯორდანს მის ორ ტოლ ნაწილად გაყოფაზე ფიქრი აღარ შეუშლის ხელს კალათბურთის თამაშში.

ისე კი, დიადთა შორის უდიადესს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ძალლის თავი სწორედ კალათბურთის მოედნის ახლოს მარხია. 2002 წლის დამდეგს ხუანიტა იმიტომ შემოსწყრა ძვირფას მეუღლეს, რომ თურმე ბურთაობით გართულ მაიკლს ცოლ-შვილი გვერდზე გადაუდვია.

საბოლოოდ, ადვოკატთა და სხვა მათ ამხანაგთა გამოკლებით, მეტ-ნაკლებად ყველა კმაყოფილია, რომ აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილი კვლავ ერთადაა. ხუანიტამ მაიკლთან გაყრას შეყრა არჩია.

**ივანე ძოწიაშვილი**



ხუანიტა და მაიკლი მეორე ცხოვრებას იწყებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთარი ზაფხულს დიდხანს ეარშიყა და გაჩნდა თეთრი ოლიმპიადა



ტურლეიფ ჰაუგი

**ახლა** მთელი მსოფლიოს ყურადღება სოლტ ლეიკ სიტისკენაა მიპყრობილი, სადაც ხვალ ზამთრის ოლიმპიური თამაშები დაიწყება.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ისეთი დიდი და ძველი ტრადიციები არა აქვს, როგორიც ზაფხულისას. მიუხედავად ამისა, იგი ძალზე პოპულარულია და მასში მონაწილეობისა თუ მედლის მოსაპოვებლად ისევე თავდაუზოგავად იბრძვიან, როგორც „მწვანე" თამაშებზე.

სოლტ ლეიკ სიტის ბატალიებში 2 345 სპორტსმენი ჩაებმება. ისინი ოფიციალურ პირებთან, მწვრთნელებთან თუ სხვა დამხმარე პერსონალთან ერთად ეწვევიან ამერიკას. ამ ოლიმპიურ თამაშებს გააშუქებს ჟურნალისტთა მთელი არმია, რომელიც ლამის სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე თავად შეჯიბრებათა მონაწილენი და ოფიციალური პირები. სოლტლეიკსიტურ ბატალიებს 160 ქვეყნის 3,5 მილიარდი ტელემაყურებელი იხილავს.

ეს ყოველივე ზამთრის ოლიმპიური თამაშების პოპულარობაზე მეტყველებს. არადა, იყო დრო, როცა „თეთრ" ოლიმპიადებს ხუთ რგოლში შესაღწევად დიდი ბრძოლების გადატანა უხდებოდა. სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები თავდაპირველად მწვანე ოლიმპიადებს მიეპარნენ. მაშინ, 1908 წლის ლონდონის IV ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა გონივრულად განსაჯეს: თუ სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები კარზე გვიკაკუნებენ, გავუღოთ მათ ეს კარიო და ასეც მოიქცნენ. „მწვანეებთან" მისული „თეთრები" ფიგურული მოციგურავენი აღმოჩნდნენ.

მართლაც, სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებიდან თუ ვინმე პირველი უნდა შესულიყო ხუთ რგოლში, ისინი სწორედ „ფიგურისტები" უნდა ყოფილიყვნენ. მათ ჯერ კიდევ 1896 წელს, როცა პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, თავიანთი I მსოფლიოს ჩემპიონატი გამართეს, რითაც ყველა სხვა ზამთრის თუ ზაფხულის სახეობათა წარმომადგენლებს დაასწრეს, ლონდონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე კი მათ უკვე თორმეტი ჩემპიონატის ჩატარება მოესწროთ.

ასე იყო თუ ისე, ლონდონის „პრინსიზ სკეიტინგ კლაბის" „ყინულოვან" დარბაზში გამართულმა ფიგურისტთა გამოსვლებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მათ შეჯიბრებებს ყოველდღიურად 2000-ზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა, რაც იმ დროისთვის დიდი ინტერესის გამომხატველი იყო.

ფიგურისტთა ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის მოწინააღმდეგეთა დასაშოშმინებლად, ამ სახეობის წარმომადგენელთა ასპარეზობას „პროგრამას დართული" შეჯიბრება უწოდეს. თუმცა, გამარჯვებულები ისეთივე ოლიმპიური მედლებით დააჯილდოვეს, როგორითაც სხვები. ამასთან, ფიგურისტთა შედეგები ოფიციალურ ოქმებში თანასწორი „უფლებებით" აღნუსხეს და ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაშიც ასევე შევიდნენ.

იმავე ოლიმპიადაზე მოეწყო ყინულის ჰოკეისტთა საჩვენებელი ასპარეზობებიც, რამაც ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია.

1920 წელს ანტვერპენის VI თამაშებზე ოლიმპიური პაექრობების ხიბლს ყინულზე ჰოკეის ოსტატებიც ოფიციალურად ეზიარნენ, ხოლო 1924 წელს ზამთრის სახეობათა მიმდევრებმა საკუთარი თეთრი ოლიმპიური თამაშებიც გამართეს. თუმცა, მათ ამ საქმის ორგანიზება საკმაოდ გაუჭირდათ. არადა, ასეთი შეჯიბრების გამართვის წინადადება თვით თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პატრიარქმა, ბარონმა პიერ დე კუბერტენმა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში წამოაყენა.

1910 წელს ლუქსემბურგში გამართულ სოკ-ის სესიაზე იტალიელებმაც დასვეს საკითხი, რომ სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებისთვის დამოუკიდებელი ოლიმპიური თამაშები გამართულიყო, მაგრამ ეს წინადადება სკანდინაველებმა უარყვეს. არადა, სკანდინაველთაგან ამ იდეის ზურგშექცევა მოულოდნელი ჩანდა, მითუმეტეს, რომ სპორტის ზამთრის სახეობები, განსაკუთრებით მოთხილამურეთა, მოციგურავეთა, ტრამპლინიდან მხტომელთა და ორჭიდელთა პაექრობები მათთან ფრიად პოპულარული გახლდათ და გამარჯვების უპირველეს ფავორიტებადაც ითვლებოდნენ. შვედები და ნორვეგიელები ჯიუტად იმეორებდნენ, რომ მათი ტრადიციულად მართლაც უპოპულარულესი შეჯიბრებები, ეგრეთ წოდებული ნორდისკა სპედენი ანუ ჩრდილოეთის თამაშები, რომლებიც 1901 წლიდან ტარდება, სპორტის ზამთრის სახეობათა მთელ თანავარსკვლავედს კრებს და რაღა საჭიროა პარალელურად თეთრი ოლიმპიადების გამართვაო.

შვედებს არაფრით სურდათ, ჩრდილოეთის თამაშები, რომლებიც ტრადიციულად სტოკჰოლმის შემოგარენში ეწყობა, ოლიმპიადების ჩრდილქვეშ მოქცეულიყო, ხოლო ნორვეგიელებს ჰოლმენკოლენში მსგავსი თამაშების გაფერმკრთალებისაც ეშინოდათ.

სკანდინაველები იმასაც თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ყინულზე და თოვლზე შეჯიბრებები ჩვენი ღრმად ეროვნული სახეობებია, მათ არა და არ შეიძლება ოლიმპიური ვუწოდოთ. სპორტის ზამთრის სახეობებს არაფერი აქვთ საერთო ძველ საბერძნეთთანო.

ამასთან, სკანდინაველები იმუქრებოდნენ, თუ თქვენსას მაინც გაიტანთ, მაშინ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტს გამოვუცხადებთო.

რა თქმა უნდა, უსკანდინაველებოდ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ფასი არ ექნებოდა და კამათიც ამით წყდებოდა.

1911 წელს ბუდაპეშტში სოკ-ის სესიაზე, როცა სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების პროგრამას განიხილავდნენ, შვედებმა თანამოაზრეებს მოულოდნელად უღალატეს და თავად წამოაყენეს წინადადება, რათა ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარებულიყო, მაგრამ ახლა ოკეანისგაღმა ქვეყანათა წარმომადგენლები გაჯიუტდნენ.

1921 წელს პრაღაში გამართულ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე საფრანგეთის, კანადის, შვეიცარიის, შვედეთისა და ნორვეგიის წარმომადგენლებმა ზამთრის ოლიმპიური თამაშების საკითხზეც იმსჯელეს, ისაუბრეს მის პროექტსა და შესაძლო პროგრამაზე, ზოგიერთ ტექნიკურ დეტალზე.

ერთი წლის მერე სოკ-ის სესიაზე კვლავ ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის იდეას მიუბრუნდნენ.

დიდი დებატების მერე პიერ დე კუბერტენმა, როგორც იქნა, ოპონენტები დაიყოლია, მაგრამ თვითონაც კომპრომისზე წავიდა. გადაწყდა, ზამთრის I თამაშები გამართულიყო, ოღონდ სიტყვა „ოლიმპიურის" გარეშე და არც მისი შედეგები უნდა ეღიარებინათ ოფიციალურ ოლიმპიურ შედეგებად. ასპარეზობას უწოდეს „VIII ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული საერთაშორისო სპორტული კვირეული".

VIII ოლიმპიადა 1924 წელს პარიზში უნდა ჩატარებულიყო და ზამთრის „საერთაშორისო სპორტული კვირეულის" გამართვაც საფრანგეთს მიანდეს. თავის მხრივ საფრანგეთმა ეს საქმე დააკისრა შამონს, რომლის არსებობა მანამდე უცხოელთაგან ცოტას თუ გაეგონა. და აი, 1924 წლის ზამთარს საფრანგეთის ალპებში მდებარე ამ პატარა საკურორტო ქალაქში 16 ქვეყნის 293 სპორტსმენი ჩავიდა, მათ შორის ოპოზიციონერი სკანდინაველებიც. თუმცა, რამდენიმე შვედმა სპორტსმენმა შამონში გამგზავრებაზე უარი განაცხადა, რადგან მათ არ შეეძლოთ საფრანგეთში ჩაეტანათ.. სალეჭი თუთუნი.

საქმე ის იყო, რომ საფრანგეთის კანონი ქვეყნის ტერიტორიაზე თუთუნის შეტანას კრძალავდა. ამის გამო შინ დარჩენა ამჯობინა შვედეთის უძლიერესმა მოთხილამურე ტორველ პერსონმაც, მაგრამ დიდი ჯახირისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ პერსონისთვის პერსონალური გამონაკლისი დაუშვეს და ნება დართეს ცოტაოდენი თუთუნი შამონში ჩაეტანა. ტორველ პერსონმა მხოლოდ ამის მერე გადაწყვიტა თავისი სამშობლოს პრესტიჟი საფრანგეთში დაეცვა, მაგრამ ამ სპორტსმენმა ორმოცდაათ კილომეტრზე რბოლაში მაინც ვერ მოიპოვა მედალი და 33 მონაწილეს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა.

შამონში ყველა ხუმრობდა, კიდევ კარგი, ყველა სკანდინაველი სპორტსმენი სალეჭ თუთუნს არ ეძალება, თორემ ზამთრის თამაშები ვინ იცის, კიდევ რამდენი წლით დაიგვიანებდაო.

ასე იყო თუ ისე, შამონში ევროპისა და ამერიკის 16 სახელმწიფოს 293 სპორტსმენმა იასპარეზა, მათ შორის იმ ქვეყნების წარმომადგენლებმაც, რომლებთანაც ზამთრის სახეობები კარგად იყო განვითარებული (ავსტრია, აშშ, კანადა, ნორვეგია, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი) და იმათაც, ვინც მედლებზე ნაკლებად ფიქრობდა (ბელგიელები, უნგრელები, ინგლისელები, იტალიელები, ლატვიელები, პოლონელები, ჩეხოსლოვაკიელები, იუგოსლავიელები)... ისინი, მათ შორის 13 ქალი, სპორტის ხუთ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს სახეობები იყო: მოთხილამურეთა, მოციგურავეთა, ფიგურულ მოციგურავეთა, ჰოკეისტთა და ბობსლეისტთა შეჯიბრებები. პროგრამას დაერთო სამხედრო პატრულთა სათხილამურო რბოლები და კერლინგი.

სპორტსმენები ერთმანეთს ჩრდილოეთის თამაშებზე დამკვიდრებული ტრადიციებისა და პრინციპების შესაბამისად ეპაექრებოდნენ.

შამონის თამაშების ერთ-ერთი გმირი გახდა ნორვეგიელი ტურლეიფ ჰაუგი. მან სამი ოქროსა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რისთვისაც მსოფლიოს პრესამ „მოთხილამურეთა მეფე" შეარქვა, ხოლო მისმა თანამემამულეებმა თავიანთ ტრიუმფატორს „ღირსეულთა შორის ღირსეული შვილი" უწოდეს, შინ დაბრუნებულს კი კონგსბერგში სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს.

როცა ტურლეიფი შამონში მედალს მედალზე ისაკუთრებდა, მისი თანამემამულე, ერთი ციცქნა გოგონა სონია ჰენი ქალთა ფიგურულ ციგურაობაში ცდიდა ძალას და მერვე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაშინ მან უფროსი თანაგუნდელისგან ბრწყინვალედ ჩაიბარა ესტაფეტა და მერე თავადაც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ნორვეგიელებმა გაიმარჯვეს არაოფიციალურ საერთო გუნდურ პირველობაში, სადაც მათი უპირატესობა ძალზე დიდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიელებმა შამონიდან ყველაზე მეტი მედალი წაიღეს, კვირეულით ყველა კმაყოფილი დარჩა. ამ სპორტულმა კვირეულმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მათ შორის სკანდინაველებსაც, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვას წინ ველარაფერი აღუდგებოდა.

და აი, მომდევნო წელს პრაღაში გამართულ სოკ-ის კონგრესზე, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშები რეგულარულად გაიმართოს. მეტიც — შამონში ჩატარებული „სპორტული კვირეული" ზამთრის პირველ ოლიმპიურ თამაშებად აღიარეს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტას ტომის ინდიელი ბიჭუნა სავალდებულო პროგრამას ასრულებს

## მილიონერი მთვარის ბოსტანში

**შვედებს**, რომლებიც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე თავს გამოიჩენენ (ალბათ ოქროს მედლები იგულისხმება), მთვარეზე (!) „მიწის" ნაკვეთებს უსასყიდლოდ გადასცემენ. ამერიკელი ბიზნესმენი დენის ჰოუპი ტერიტორიას ყველა მსურველზე ჰყიდის შეღავათიან ფასებში (1 აკრი ანუ 0,4 ჰექტარი 36 ევრო ღირს), მაგრამ შვედ ათლეტებს ფულის გადახდა არ მოუწევთ. ჰოუპი (უფრო ზუსტად, მისი ეგრეთ წოდებული „მთვარის მაღაზიის" სკანდინავიური განყოფილება) მათ ჩუქნის.

ახლა გავხსნათ ფრჩხილები. არსებობს კონვენციები, რომელთა თანახმად მთვარე, ანტარქტიდა მე-60 პარალელის სამხრეთით და მისთანა ტერიტორიები საერთაშორისო სამართლის ობიექტები არიან და არ შეიძლება, რომელიმე სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, მაგრამ ჰოუპი ხომ სახელმწიფო არ არის... მან 1980 წელს გაეროს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს წერილობითი მიმართვები გაუგზავნა და აცნობა, მთვარის პრივატიზაციას ვახდენო, რაზეც პასუხი დღემდე არ მიუღია, ადრესატებმა ალბათ იფიქრეს, ამ კაცს ურიკინებსო (ჩვენში პოპულარული გამოთქმით), ხოლო ჰოუპმა თავის მხრივ იფიქრა, დუმილი თანხმობის ნიშანიაო და მოკლედ, თავის „მიწებს" ჰყიდის. ჯერ არ გვაქვს ინფორმაცია, რა თანხები ჩადო ჰოუპმა მთვარის პრივატიზებისთვის, საერთოდ თუ ჩადო და რამდენად სერიოზულია მისი პრეტენზიები. არაა გამორიცხული, „მთვარის საკითხი" რაღაც ხანში სოლიდური სასამართლო გარჩევების თემად იქცეს.

საჩუქარზე კი რისი თქმა შეიძლება? 2002 წლის თვალსაზრისით დიახაც ორიგინალურია.

## სადღაა ქალწული

**ოლიმპიური** სამზადისი, ისევე როგორც ყველა გლობალური საქმე დედამიწის ზურგზე, ბუნების დამცველთა უკმაყოფილებას იწვევს. საშეჯიბრო ობიექტების მშენებლობის პროცესს მწვავედ აკრიტიკებს ეკოლოგიური ორგანიზაცია „სეივ აუარ ქენიონს", რაც ასე ითარგმნება: „გადავარჩინოთ ჩვენი კანიონები" და სახელიც მიუთითებს, რომ ხრამებით დაღარული კლდოვანი მთების პრობლემებს ებრძვის. როგორ თუ ასე ცოტა დახარჯეთ ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლადო, მძვინვარებენ მწვანეები და მართლებიც არიან: ოლიმპიური ბიუჯეტის მხოლოდ მეათასედია გახარჯული ამ მიმართულებით. „ოლიმპიადის მომზადება ღრმა ჭრილობებად დააჩნდა იუტას ქალწულ ლანდშაფტს — ამტკიცებენ ეკოლოგები — სამთო სათხილამურო ტრასების მშენებლობამ, ოლიმპიური პარკის გაფართოებამ და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ზრდამ გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა მთის ცოცხალ ბუნებას და მისი კომპენსაცია უკვე არავითარ ფულს არ შეუძლია".

ორგანიზატორებს ეკოლოგია მთლად ფეხებზე როდი ჰკიდიათ. მეტის თქმაც შეიძლება: 17 დღის განმავლობაში 3000 ტონა ნაგვის დაგროვებას ვარაუდობენ და მათი გადამუშავების პრობლემა უკვე მოიხსნა, ჰაერის გასაუმჯობესებლად იუტას შტატში 100 ათასი ხე დარგეს, კირნსში აგებული საციგურაო სარბიელი ბუნების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე ჰარმონიულ ნაგებობად აღიარეს და ასე შემდეგ, მაგრამ მწვანეები მაინც ჯავრობენ.

**პარიზი. Open Gaz de France**
**საპრიზო 585 ათასი $. ჰარდი**

# მძინარე მზეთუნახავი და ლესბოსელი




REUTERS

ანა კურნიკოვა ამელი მორესმოს დანებდა

შვეიცარიელი ემანუელ გალიარდის მოსარჯულებლად რუს სექსვარსკვლავ ანა კურნიკოვას ბარემ ორ საათზე მეტი დასჭირდა. მატჩი ანამ აგრესიულად დაიწყო და მსოფლიოს 78-ე ჩოგნის მჭნეველ ემანუელს მალე მისი გეიმებიც წაართვა. მაგრამ მერე უნებლიე და ორმაგ შეცდომებს უხშირა და სეტი სატაიბრეიკოდ გაიხადა. აქ მეტოქეს მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა და ეს გამოიყენა კიდეც — 7:3.

ამის შემდეგ კურნიკოვა თითქოს დამშვიდდა და მორიგი სეტები უკვე ბევრი ოფლის დაუღვრელად მიითვალა. ერთი ეგ იყო, მესამეში შვეიცარიელი რამდენჯერმე კიდევ გაჯიქდა და 2:0-სა და 5:2-ზე ორ-ორი გეიმის უკუგებაც მოახერხა.

თავისი არადამაჯერებელი და არათანაბარი გარჯა კურნიკოვამ ტოკიოდან პარიზისკენ დიდხანს ფრენითა და კორტის საფრის შეცვლით ახსნა. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში მან „Pan Pacific Open"-ზე ითამაშა და ნახევარფინალამდეც გააღწია, სადაც მონიკა სელეშთან დამარცხდა.

„უცნაური მატჩი იყო. სანახეეროდ მეძინა და ბევრი არა არაფერი მახსოვს" — თქვა კურნიკოვამ — „ორ ქულას ვიგებდი, მერე ორს ვაგებდი... მოკლედ, მაგრად ვიწვალე. თუმცა მიხარია, რომ ურიგო თამაშის მიუხედავად, მაინც მოვიგე".

მეორე წრეში 20 წლის ქერა ლამაზმანი და მსოფლიოს ოდენ 86-ე ჩოგნის მპყრობელი შეეყარა ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს, მესამე ნომრად განთესილ ფრანგ ლესბოსელ ამელი მორესმოს. მექალთანემ 6:3; 7:5 იძალა.

მორესმოს მსგავსად, მეორე წრიდან ათამაშდა ამერიკელი ვინუს უილიამსი, რომელმაც თანამემამულე მეილენ ტუ 6:1; 6:3 დაჯაბნა. პარიზში ჩოგანი მონიკა სელეშმაც გაიქნია და ავსტრიელი ბარბარა შეტი ორ სეტში შეიწირა.

რაც შეეხება დღის სხვა შეხვედრებს, ყურადღება უწინარესად 18 წლის სლოვაკის დანიელა ჰანტუჩოვას მიერ მე-7 ნომრად განთესილი ბულგარელის მაგდალენა მალეევას ძლევამ მიიპყრო. [illegible] თანამემამულემ ჰენრიეტა ნაგიოვამ კი კორტი მაჯის ტრავმის გამო მიატოვა და თავის ამერიკელ მეტოქე მეილენ ტუს მეორე წრეში უილიამსთან დაპირისპირების შანსი მისცა.

ნაგიოვა ტურნირის მეორე დანაკლისია. კისრის ტკივილებმა პარიზელთა ჯილათაგანსა და მეექვსე ნომრად განსეთილ სანდრინ ტესტიუს თამაშზე უარი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდეათქმევინა.

**პირველი წრე**

**ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:7 (3:7), 6:4, 6:4; **ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 3:6, 6:3, 7:5; **დანიელა ჰანტუჩოვა** (სლოვაკეთი) — მაგდალენა მალეევა (7, ბულგარეთი) 7:5, 6:4; **მეილენ ტუ** (აშშ) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:3, 4:2; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 1:6, 7:5, 6:3; **ბრიტა არნი** (გერმანია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:4; **მონიკა სელეში** (5, აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:2, 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 6:3, 3:6, 6:4; **ადრიანა სერა-ძანეტი** (იტალია) — მაგუი სერნა (ესპანეთი) 2:6, 7:5, 6:4; **სილვია ფარინა-ელია** (7, იტალია) — ანჟელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:2, 6:2

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1, 6:3; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:3, 7:5

# მაიამიმ დააბირჟავა

**ფლევანდლიდან** მოყოლებული 2007 წლის ჩათვლით. მაიამის დიდ საჩოგბურთო ტურნირს, რომელიც ყოველწლიურად მარტის მეორე ნახევარში იმართება და ბოლო დრომდე „Miami Ericsson Open"-ად იწოდებოდა, „Miami Nasdaq-100 Open"-ის სახელს მიიღებს. ეგ ამბავი მსოფლიოს გუშინ საგანგებო ცერემონიაზე ემცნო, რომელსაც დიდბირჟის თავმჯდომარე-მთავარაღმასრულებელ უიკ სიმონსსა და ტურნირის მახვშ ერლ ბუხჰოლცთან ერთად, სხვათა შორის, უკვდავნი — მარტინა ნავრატილოვა და როდ ლეივერიც ესწრებოდნენ.

მაიამის ტურნირი, რომელიც არსებობის მე-18 წელს მიითვლის, დიდი სლემის ასპარეზობათა შემდეგ უდიდეს საჩოგბურთო მოვლენად მიიჩნევა — დასწრების (270 ათასი ქომაგი შარშან), საპრიზო ფონდის (6 მილიონ 395 ათასი წელს), მონაწილეთა რაოდენობის (96-96), ჟურნალისტთა ლიანგის სიდიდისა (800-ზე მეტი) და ხანგრძლივობის (12 დღე) გამო.

„ჩვენ მსოფლიოს უბობოლეს ბირჟას წარმოვადგენთ, ხოლო ეს ტურნირი წლის ერთი გამორჩეული სპორტული მოვლენაა. ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ მისი დასპონსორება ჩვენთან მობირჟავე კომპანიებსაც წაადგება და ჩოგბურთის საქმესაც წინ წასწევს" — განაცხადა სიმონსმა. ხოლო ბუხჰოლცის საპასუხო სადღეგრძელო დააზლოებით ასე ჟღერდა: „ტურნირი ამაყობს, რომ „Nasdaq-სა და საერთაშორისო კომპანიების ისეულ დიდ ოჯახს დაუნათესავდა".



მარტინა ნავრატილოვა, როდ ლეივერი და უიკ სიმონსი



**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**



REUTERS

მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორმა და მცველმა ანდრეი მარკოვმა ნიუჯერსელი რენდი მაკეი მოიგერიეს

# კოვალჩუკმა გაასწორა

## ეს ბიჭი მართლა კარგად თამაშობს

**5 თებერვალი**

**ნიუ ჯერსი 0:1 მონრეალი 0:1 0:0 0:0**
**0:1 ბულისი (9)**

ჟოზე თეოდორისთვის ჯადოსნური ზღაპარი კვლავაც გრძელდება: მას შემდეგ, რაც ეს მეკარე კარიერაში პირველად „ოლ სტარში" მიიწვიეს და მანაც თავი არ შეირცხვინა, ეს ალმაფრენა ნიუ ჯერსისთან თამაშშიც გაჰყვა და მასპინძელთა 19 დარტყმა მოიგერია. საინტერესოა, რომ „ოლ სტარის" დროს ჟოზემ ყველაზე მეტად სწორედ ნიუჯერსელი პატრიკ ელიაში გააწბილა, რომელსაც სამი ასპროცენტიანი მომენტი გააცუდებინა. ამჯერად მან ელიაშის თანამემამულე ბობი ჰოლიკის გარჯა გაატანა ორჯერ ქარს. აღსანიშნავია, რომ მანამდე მონრეალს სტუმრად ნიუ ჯერსისთვის ვერ მოეგო.

„ეს ისეთი გუნდია, რომელსაც აუცილებლად უნდა ვამარცხებდეთ, მიუხედავად იმისა, ითამაშებს თეოდორი ჩინებულად თუ არა" — წუხდა ჟოზეს კოლეგა მარტინ ბროდო, რომლის ახალმა თავკაცმა კევინ კონსტანტინმაც პირველი მარცხი იწვნია.

**ბოსტონი 2:2 ბუფალო 1:1 1:0 0:1 0:0**
**0:1 ბრაუნი (1), 1:1 შტუმპელი (19), 2:1 მიურეი (22), 2:2 უორინერი (45)**

**კაროლინა 3:3 პიტსბურგი 1:1 2:1 0:1 0:0**
**1:0 ვასიჩეკი (16), 1:1 რ. რობიტაილი (20), 1:2 პრედინა (26), 2:2 უილისი (33), 3:2 ჰილი (40), 3:3 ფერენსი (45)**

სეზონში 21-ე ოვერტაიმი ითამაშა კაროლინამ, თანაც ბოლო 9 შეხვედრაში 6 ფრე მიითვალა.

**აილენდერსი 4:3 სენტ ლუისი 1:2 1:0 2:1**
**0:1 მაიერსი (1), 1:1 ჰამრლიკი (6), 1:2 უეიტი (19), 2:2 სკაჩარდი (28), 2:3 სალვადორი (42), 3:3 ლაპოინტი (45), 4:3 ისბისტერი (51)**

აილენდერსს თურმე შესაშური შეუპოვრობის გამოჩენაც შესძლებია. ნიუიორკელებმა წინა მატჩში ფლორიდასთან სამშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს და ძლივს იხსნეს თავი, ამჯერად კი სამჯერ აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებულნი გამოვიდნენ დასავლეთის ერთ-ერთ ლიდერთან ჭიდილში.

**ატლანტა 3:2 ედმონტონი 1:1 0:0 2:1**
**1:0 ტრამბლე (12), 1:1 კლირი (13), 2:1 კოვალჩუკი (49), 3:1 ოუელსი (50), 3:2 კოგრი (59)**

ნუ გააბრაზებთ კოვალჩუკს! მესამე პერიოდის დასაწყისში სტუმართა თავკაცმა კრეიგ მაკტავიშმა განაცხადა, რუსს არასწორად მოღუნული ყვანჯი აქვსო. მსაჯებმა ეს ყურად იღეს და კოვალჩუკი ორი წუთით გააძევეს. ედმონტონმა რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენა, ხოლო როგორც კი ილია ყინულს დაუბრუნდა, უმალ დანი ჰიტლის პასი მიიღო, მცველებს გაექცა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**ტორონტო 3:1 მინესოტა 0:0 0:1 3:0**
**0:1 დიუპუი (22), 1:1 სუნდინი (43), 2:1 სუნდინი (58), 3:1 რენბერგი (59)**

ოლიმპიადის წინ შვედეთის ნაკრების თავკაცები კარგ გუნებაზე უნდა იყვნენ. ლიგაში ერთადერთი შვედური ხაზი — ჰოგლუნდი-სუნდინი (2+1)-რენბერგი (1+2) ჩინებულ მადაზეა. საერთო ჯამში ამ ტრიოს ანგარიშზე 130 ქულაა 54 თამაშში, ხოლო გუნდის ლიდერმა სუნდინმა კარიერაში მეხცრედ გადალახა 30-შაიბიანი ზღვარი. საინტერესოა, რომ ჩემპიონატის წინ კანადური კლუბი ჰოგლუნდის გაყიდვას აპირებდა, მაგრამ ბოსტონში გაგზავნილმა ფაქსმა ტრეიდის შესახებ დროულად ვერ მიაღწია ადრესატს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# დაიცვა

ტოკიოში გამართულ ბრძოლაში (ვბკ) ქამარი დაუცავს ამერიკელ ვილი ჯორინს. ჯორინი ქვე-როჭოს წონის ჩემპიონია და მისი მძლეველი ამ დივიზიონში ჯერ არ მოძებნილა. მწვრთნელებსაც მხრებზე შეუსვამთ მოქნილი ჩემპიონი.



REUTERS ტოკიოდან




# ხვალ

რაღა დარჩა, თეთრი ოლიმპიადა კარს მოგვადგა და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ სოფელშიც ერთი ჟრიამულია. სოფელში გზის მაჩვენებლებიც კი შინაურულად გაუწყვიათ, აქეთ მეხიკო და იქით ჰონკონგია. ამერიკის ინდიელთა ფონდის თავკაცი ლარი ბლეკპეარი კი მშვიდობის ჩიბუხს გადასცემს ჩეხეთის ზამთრის გუნდის თავკაცს, ფრანტიშეკ დვორაკს (მარცხნივ). ოლიმპიადა ხვალ იხსნება.

# ახალი აირ ჯორდანი

თქვენს წინაშეა განთქმული სპორტული ფეხსაცმლის, „აირ ჯორდანის“ მეჩვიდმეტე მოდელი. თავის დროზე „ნაიკმა“ კალათბურთის მეფის სახელი უწოდა ამ სამოსს, რომელიც მეტად პოპულარული გამოდგა. ახალ „ჯორდანებს“ ცხრა თებერვლიდან მსოფლიოს მაღაზიები დაინაწილებენ. მათი ფასი ორასი დოლარი იქნება. სამაგიეროდ, ფეხსაცმელი რკინის ყუთში დევს და ერთი კომპაქტ-დისკიც ახლავს.



# ელის

სათადარიგოდ ყოფნა მართლაც ძნელია. „გოლდენ სტეიტ ვორიორზის“ ანტონ ჯემისონი მოუთმენლად ელის მოედანზე შესვლას, ეს მოლოდინი კი გულისგამაწვრილებელია.




REUTERS ვაშინგტონიდან



# 61

ამ ზაფხულისდროინდელ ფოტოზე რეჟისორი ბილი კრისტალი ჩანს. ამერიკის რეჟისორთა გილდიას სწორედ მისთვის მიუკუთვნებია საუკეთესო რეჟისორის პრიზი. კრისტალს სატელევიზიო ფილმი „61“ გადაუღია, რომელშიაც ბეისბოლისტთა ცხოვრებაა აღწერილი. ეს ფოტოც გადაღებებისდროინდელია. „61“-ის მასპინძელი ხომ დეტროიტის „თაიგერზს სთედიუმი“ იყო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გორგიშიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ქუმსიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge